1954 /3
РЕСПУБЛИКА В.КА
1 12 ПИ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 4
აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ეს პორტრეტი კრასნოდარელმა ოსტატებმა შამონტის ძვალზე ამოსჭრეს და საჩუქრად მიართვეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავზე.

პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 4
აპრილი, 1954 წ.
წელიწადი XXVIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვ. 56154



ბარქსის სახ. ქ. საბელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

სახლი ულიანოვსკში

აპრილის თვეში, როცა სისხამზე,
ბუდეს იგებენ ჩვენში ფრთოსნები,
ჩვენი ფიქრებიც ფრთებს შეისხამენ,
მთებს გადიფრენენ ლაღი ოცნებით.

ხეხილის კვირტებს მთასა და ბარში
საგაზაფხულოდ მზე რომ გამოსკვნის,
განსაკუთრებით გვწადია მაშინ
ვნახოთ ქალაქი ულიანოვსკი.

გვინდა ვიხილოთ სხივთა ღიმილში
ის კარ-მიდამო, ის მყუდრო კერა,
სადაც გაისმა დიდი ილიჩის,
პირველი სიტყვა და გულის ძგერა.

გავხედოთ ველებს, გადაშლილ სერებს,—
ტკბილი ოჯახი სადაც სახლობდა,
მისი ბავშვური კისკასის მსმენელს
ჭერსაც შევავლოთ თვალი ახლოდან.

იქ ძვირფასია ნივთი ყოველი,—
გაგვაცნობს ბრძენის ბავშვობის ხანას...
მან სიბნელეში მყოფი მშრომელი
სინათლის გზაზე გამოიყვანა!

მაყვალა მრევლიშვილი

გრიგოლ აბაშიძე

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა

პოემა

გინახავთ დიდი მოსკოვი?
ცხადად, ოცნებით კი არა,
ქვეყნის ოდენა მოსკოვი,
მოსკოვის ზეცა კრიალა.
უზარმაზარი მოსკოვი,
მართლა ზღაპრულად გაზრდილი,
დიდი, ლამაზი მოსკოვი,
მსოფლიოს გული ნამდვილი.
გინახავთ კრემლის კოშკებზე
ვარსკვლავთა გასხივოსნება?
მოსკოვი, დიდი მოსკოვი,
ყველა პატარას ოცნება.

* * *

ჩვენ ვინც მოსკოვში არ ვცხოვრობთ,
მაინც მასთან ვართ ოცნებით,
ჩვენც გვიყვარს მისი უბნები,
ქუჩები გასაოცრები.
ჩვენც ვხედავთ, როგორ მაღლდება
შრომით, დღედაღამ შენებით,
ღრუბლებში მზიურ კოშკებად
აწვდილი ცათამბჯენებით.
ჩვენც გვიყვარს მავზოლეუმი,
კრემლის კედლები სქელ-სქელი,
მოსკოვის მეტრო — ზღაპრული,
სასახლეები ქვესკნელის.
მაღლა აპხედავ ბროლია,
ქვეშ მარმარილო აგია...
ზამთარია, თუ ზაფხული,
მოსკოვი მუდამ კარგია.
მაგრამ ზაფხულის ერთი დღე
მოსკოვს გვაგონებს მარადის,
ამ დღეს ეწყობა მოსკოვში
ავიაციის პარადი.

* * *

ივლისის დილა თენდება,
ფიქრი არა აქვთ ამინდის,
სად იყო ხალხი ამდენი,
ამდენი ხალხი სად მიდის?
ქალაქის ჩრდილოეთისკენ
დაძრულან დედაბუდიან.
ტრამვაი, მეტრო, ტაქსები
ხალხის ზღვას ვერ აუდიან.
ისეთი დღეა, მზეს უნდა
მთელ დღეს ქვეყანას უცინოს,
მთელი ქალაქი მიაწყდა
მოსკოვის ახლო ტუშინოს.
დგანან, ზეიმის დაწყებას
გულისფანცქალით ელიან,

არც სიგრძე უჩანს, არც განი,
აქ რომ გაშლილი ველია.

* * *

აი, დაიწყო პარადი,
ზეცამ გაიწყო დგანდგარი,
თვითმფრინავს, თვითმფრინავი ცვლის
გუნდს გუნდი სხვადასხვაგვარი,
ზოგი ხმას უსწრებს სისწრაფით,
ზოგი სვლას წამსვე ანელებს,
ლაქვარდს სარბევად უთმობენ
თვითმფრინავები პლანერებს.
ისევ გაისმა გუგუნი,
ჩამოდგა თეთრი სვეტები,
პარაშუტები დაეშვნენ,
როგორც მშვიდობის მტრედები.
შორს ჩანდნენ ბამბის ქულებად,
გაშლილნი ურიცხვ ქოლგადა,
ტუშინოს აეროდრომი
ფერგანის მინდორს მოჰგავდა.
შემდეგ სხვა წყებამ იქუხა,
ზეციდან — უნაპიროდან,
ხალხს უჩვენებდნენ მფრინავნი
ცაში უმაღლეს პილოტაჟს,
ზოგი ყირაზე მიჰქროდა,
ზოგი ცალ გვერდზე დახრილი.
ტაშმა დაპფარა გუგუნი,
გაისმა ვაშას ძახილი.

* * *

გათავდა... მაყურებლები
წავიდნენ ქმაყოფილები,
წავიდნენ პიონერებიც
მწყობრ რიგად დაწყობილები.
მათ აქვე ჰქონდათ ბანაკი,
ტუშინოს ველზე, სხვა მხარეს.
უთვალავ კარვებს ყიკინით
მოედნენ, მოსვლა ახარეს,
ფიქრით კვლავ იყვნენ პარადზე
მოზრდილებიც და მომცრონიც...
საღამო დადგა, დაანთეს
პიონერული კოცონი.
შემდეგ კარვებში მილაგდნენ,
დახუმეს თვალი თუ არა,
ბევრს ძილშიც თვითმფრინავების
გუნდმა თავს ზგადაუარა.
ბევრს დაესიზმრა: თვითონვე
იყო მფრინავი თითქოს და
სადღაც, თოვლიან მთებს შორის,
მაღალ ღრუბლებში მიჰქროდა.

* * *

მეორე დილას ერთმანეთს
გაუზიარეს ფიქრები,
ერთმა თქვა: «რომ გავიზრდები
გმირი მფრინავი ვიქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსურს მტერი ცაში შევმუსრო
ქვეყნის სანგრევად მომდგარი.
იმ თვითმფრინავით შევება —
ხმის უსწრაფესი რომ არი».
მეორემ ეს თქვა ღიმილით
სხვებსაც ღიმილი მოჰფინა:
მე იმ თვითმფრინავს ავირჩევ,
ყველაზე მაღლა რომ ფრინავს.
იქ ვიფრენ, სადაც მზის შუქი
თვალის მომჭრელად ელვარებს,
დაბლა ამაყად დავხედავ
კავკასიონის მწვერვალებს.
თქვა პიონერმა მესამემ:
«მეც მაღლა ფრენა მიტაცებს,
მაგრამ ისეთი კი არა,
ფეხს რომ არ ვდგამდე მიწაზე.
ხალხისთვის ვიფრენ, მოვწყდები
თეთრი ღრუბლების მწკრივიდან:
მთის მაღალ, უგზო სოფლებში
წიგნსა და ფოსტას მივიტანთ».
— კარგია!—ერთხმად აღმოხდათ,
მისი ნათქვამის დასტურად, —
ნეტავ იმ მფრინავს, ვინც მთების
მაღალ ღრუბლებში დასცურავს,
ვისაც ნისლებში უშიშრად
მიჰყავს ხომალდი ფრთამალი,
მიაქვს შორეულ სოფლისთვის
წიგნი, ფოსტა და წამალი.
კვლავ მესამემ თქვა:
«ჩვენს შორის
რუკას არ სწავლობს რომელი?
იცით სად არი სოფლები

ყველაზე მიუდგომელი?
ალბათ, გინახავთ რუკაზე
მთებით, სიმაღლით განთქმული,
კავკასიონის კალთებზე
სვანთა სოფლები ქართული.
იმ სოფლებსაც აქვთ სკოლები,
ჰყავთ ბავშვთა მთელი არმია,
იქაც ხომ, ალბათ ჩვენსავით
პიონერები დარბიან.
იქნებ ამ წუთშიც თვითმფრინავს
მოაცილებენ ყიჟინით,
ჩვენ მათზე ვფიქრობთ ახლა და
ჩვენზე ფიქრობენ ისინიც.
იქნება ნახეს ოცნებით
გუშინ ტუშინოს პარადი...
ჩვენთვის ჯერ უცნობ სვან ბავშვებს
მოდი მივწეროთ ბარათი...
გადავცეთ ჩვენი ბანაკის
საერთო განწყობილება,
რომ მათთან მეგობრობა გვსურს,
შორიდან დაძმობილება».
— მივწეროთ!
ერთხმად დაასკვნეს
რაზმის სურვილის თანახმად...
სვანეთს აფრინა წერილი
მთელმა ტუშინოს ბანაკმა.
გინახავთ თეთრი კოშკები,
ან მწვერვალები ზღაპრული?
ჩვენი ლამაზი სვანეთი —
მთები მწვანეში ჩაფლული,
რა კარგი სანახავია!
ამაღლდა, ისეც მაღალი...
აქაც მზის შუქად დამკვიდრდა
ჩვენი ცხოვრება ახალი.
დიდმა საბჭოთა ცხოვრებამ
აქაც მხარ-ბეჭი გაშალა,
ჯიხვების ნაბილიკარზე
გასტყორცნა ფართო გზა-შარა.
შეება ძველს და სიძნელეს
ხალხის ძალ-ღონე საერთო,
ღრუბლებზე მაღალ სოფლებში
ილიჩის შუქი აენთო.

* * *

გინახავთ მთებზე ჩანჩქერი
დაფშვნილი ბროლის ცინცხლებით?
მას ჰგვანან სვანი ბავშვები
მერცხლებზე უფრო მკვირცხლები.
მათი სიმღერით სავსეა
ყველგან მთები და ხეევები,
აქ ყაყაჩოზე მეტია
წითელი ყელსახვევები.
ჯიხვივით ხტიან კლდეებზე
უყვართ მინდორში ნავარდი,
მაგრამ მათ ტყეზეც, მინდორზეც
უფრო იტაცებთ ლაქვარდი.
იტაცებთ ლურჯი კამარა,
ცა მოწმენდილი, მზიანი
თვითმფრინავების გუგუნი,
ულრუბლო ცაში სრიალი.
ერთი წავა და სხვა მოვა,
განა დაფრენენ ცოტანი,
ის არი მათი ფოსტაც და
ახალი ამბის მომტანიც.
გზა ბევრი მიდის ბარისკენ,
მანქანებითაც მიდიან,
მაგრამ გზა ცაში გაბმული
მათი ზღაპრული ხიდია.
ეს გზა ყველაზე მოკლეა,
და სვანმაც ფრენა არჩია,
ერთ წუთში მთებს რომ გადასჭრის,
მეორე წუთში ბარშია.
რა მაღლა მიჰფრენს, რა მალე!
თუმცა მანძილი დიდია,
სტუმრებიც ამ გზით მოდიან,
სტუმრადაც ამ გზით მიდიან.
ამიტომ უყვართ სვან ბავშვებს
ცისკენ ყურება მალ-მალი,
ხელებით შუბლის მოჩრდილვა,
თვითმფრინავების თვალთვალი.
დგას პიონერი მაღლობზე,
ცას გასცქერს, როგორ მოცდება,
ფეხის ადგმიდან ეჩვევა
ცაში ფრენაზე ოცნებას.

* * *

ზაფხულის ერთ დღეს გუგუნი
მოისმა ღრუბლთ გროვიდან,
ძირს თვითმფრინავი დაეშვა,
სვანეთში ფოსტა მოვიდა.
ახალ ამბებს და გაზეთებს
ელოდა სვანთა სოფელი,

ბევრ სახლთან ფოსტალიონი
შედგა, ვით მახარობელი.
და როცა კლუბთან შეჩერდა,
მზე იყო გადაწვერილი;
სვან პიონერებს გადასცა
ამანათი და წერილი.
არ მოელოდნენ, გაოცდნენ
პიონერები ერთიან,
წერილს ერთმანეთს სტაცებენ,
ამანათს ირგვლივ ერტყმიან.
მსუბუქი იყო, თუმც ყუთი
არ ჩანდა მცირეოდენი.
სათუთად გახსნეს, აღმოჩნდა]
შიგ თვითმფრინავის მოდელი.

ბევრ მათგანს, ალბათ, არასდროს
ასე არ გაუხარია...
სუყველას ერთხმად აღმოხდა:
— რა კარგი საჩუქარია!
აიღეს, ახედ-დახედეს,
ფრთაც გაუსინჯეს, მუცელიც,
სულ დაავიწყდათ კონვერტში
ოთხად ნაკეცი ფურცელი.
იძახდნენ: შასი გასინჯე,
ნეტავ რა ხელმა აკეთა!
— შასი და კუდი რა არი,
შენ ფრთებს დახედე აქეთაც.
ბოლოს თქვეს: «ამის ამწყობი,
მართლაც რომ ქების ღირსია!
ნეტავ ვინ გამოგვიგზავნა,
ან ეს წერილი ვისია».
კონვერტი გახსნეს, შიგ იდო —
ტუშინოელთა ბარათი:
ჯერ აეწერათ ივლისის
ავიაციის პარადი,
მერე ცალ-ცალკე მოეთხროთ
ოცნება ყველა მათგანის,
თუ როგორ უნდათ მოფრენა
სვანეთში ფრთიან მანქანით.
— მაგრამ ჯერ, აბა ჩვენგანი,
ცაში საფრენად ვინ ავა,
დიდი დრო გავა ჯერ კიდევ,
სანამ გაგვიცნობთ მფრინავად.

ჰოდა, ჩვენს სურვილს ნუ ჩათვლიან
სიჩქარედ. ფაციფუცადო,
რომ დავმეგობრდეთ, ამისთვის
გაზრდას რად უნდა ვუცადოთ?!
ჩვენს მეგობრობას დღეიდან
მოდით დავუდოთ სათავე
იფიქრეთ ჩვენზე, ჩვენებიც
ოცნებით სვანეთს ხატავენ.
დე, ეს პირველი გაცნობა
გადიქცეს ნამდვილ ძმობადა...
წერილთან ერთად «თვითმფრინავს»
გიგზავნით მცირე ნობათად.
გიგზავნით იმის ნიშნად, რომ
ფიქრით თავს დავფრენთ თქვენს სვანეთს,
რომ სიმაღლეზე ოცნებამ,
დაგვაძმობილა ერთმანეთს.

* * *

სვანი ბავშვების სიხარულს
მართლაც არ ჰქონდა საზღვარი!
თვითმფრინავით და წერილით
ჩამოიარეს მთაბარი.
გააცნეს ყველა პიონერს
მოსკოველების წადილი...
მერე წერილი დაწერეს,
ძმური წერილი ნამდვილი.
სთხოვდნენ სვანეთში სტუმრობას,
პირადად გასაცნობადა...
ბელადის სახლის მაკეტიც
მოსკოვს გაგზავნეს ნობათად.

* * *

იმ დღიდან არ შეწყვეტილა
ეს ძმური მიწერ-მოწერა.
უკვე პირადად ესტუმრნენ
ერთიმეორეს ორჯერაც.
სვანნი გაოცდნენ მოსკოვის
მეტროთი, ცათამბჯენებით,
მოსკოველები — სვანეთის
სიდიადით და მშვენებით.
იგრძნეს სწავლაშიც, თამაშშიც
შრომა რა კარგი ყოფილა...
ისინი ხომ სიმაღლეზე
ოცნებამ დააძმობილა.
ცას სწვდება მათი სიმღერა,
«ვოლგა-ვოლგა» და «ლილეო»
და მეგობრობენ ერთმანეთს —
სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სერგო კლდიაშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ ი ა

მოთხრობა

ჩემმა ძველმა მეგობარმა ალექსანდრე თუხარელმა, ცნობილმა მეტყველმა, რომელიც სამამულო ომის დროს მაიორი იყო და ერთ ხანს კავკასიონის მთებშიც ებრძოდა შემოსეულ მტერს, ამას წინათ ზღვისპირა რაიონი მოიარა და იქიდან დაბრუნებულმა უმალვე მინახულა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა. წინათაც ყოველთვის გულწრფელი ყურადღებით ვუსმენდი მეგობარს, როცა ჩვენს ტყეებზე სიტყვას ჩამოაგდებდა,—მისი სიყვარული ტყისადმი იმდენად თავისებურია, რომ დარწმუნებული ვარ, რაღაც ცოცხალ, თითქმის სულიერ არსებად მიაჩნია ის. ველოდი, რომ ახლაც ამგვარ რაიმეს იტყოდა. მაგრამ ამჯერად მისგან სულ სხვა რამ გავიგონე. იმ განსხვავებული მღელვარებით, რომელსაც სიხარული წარმოშობს ხოლმე, თუხარელმა შემდეგი მიამბო... არა, არ იფიქროთ, რომ მან უბრალოდ დაიწყო მოყოლა, აი ამიტომ იყო, რომ უცბადვე შევატყვე მღელვარება. ალბათ, ვეცოტავე ერთი მსმენელი, თავი მოუყარა შინ მყოფთ, ყველას თვითონვე მიუჩინა დასაჯდომი ადგილი, თამბაქო გააბოლა და წუთიერი საზეიმო სიჩუმის შემდეგ დაიწყო თავისი ამბავი. ცოტა არ იყოს, ახირებული კაცია ჩემი მეგობარი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ესეც მხოლოდ სასიკეთოდ ემატება მის მრავალ ღირსებას...

აი, ის ამბავიც:

„სოხუმის ჩრდილოეთით, მთებში, სადაც კავკასიონის ქედი შავი ზღვის ნაპირს უმეზობლდება, ტაფობს ზევით ერთი სოფელია. ორმოციოდე სახლი, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივად მთიან საქართველოში იშენებენ, ერთმანეთისაგან შორიახლოს დგას. ვინც პირველად იმ სოფელს თვალს შეავლებს, ალბათ, ეუცნაურება თუ რატომ განმარტოებულან ადამიანები, რად აცოცებულან იმ სიმაღლეზე, როცა დაბლობში საკმაოდ არის დაუსახლებელი ვაკე ადგილი. მხოლოდ ქორმა იცის ასეთ მიუვალ ადგილებში ბუდის გაწყობა.

ის სოფელი ძველად არის გაშენებული. იქნებ მაშინდელ ხაშმიან დაბლობს გაექცა ადამიანი, ან იქნებ მტრის შემოსევისაგან თავის დასაცავად აირჩია ძნელად მისაგნები, თითქმის უჩინარი კუთხე.

თუმცა ძალიან მაღალზეა სოფელი და თოვლიანი მწვერვალები არც თუ ისე შორსაა, ჰავა იქ მაინც რბილია. როცა ულრუბლო დღეა, ზევიდან გარკვევით მოჩანს ფირუზისფერი გრძელი ზოლი,—ეს შავი ზღვის ნაპირია.

სოფელს არტყია უღრანი ტყე, სადაც გარეული თხილი, პანტა, მაყვლის ბუჩქები, ათასგვარი ველური ყვავილი ერთმანეთში არეულა.

ჩემი ნაწილი 1942 წლის ზაფხულში იმ სოფლის ახლო ხევში იყო დაბანაკებული. ეს ადგილი უკანასკნელი საზღვარი იყო, რომლის იქით კავკასიონის ქედის ვიწროებში შემოჭრილი მტერი იდგა.

თუმცა მტრის ჯარი ახლო იყო, მაგრამ მოსახლენი მაინც არ გაიხიზნენ და არა თუ მოერიდნენ იქაურობას, პირიქით, მზად იყვნენ დაგვხმარებოდნენ რითაც კი შეიძლებდნენ.

მათ შორის მრავალი მეგობარი შევიძინე. განსაკუთრებით დავუახლოვდი ერთ ოჯახს, რომელიც სოფლის ბოლოში მოსახლეობდა. იმ ოჯახის უფროსი იყო ეალარაშერეული, ოდნავ კუზტი გამომეტყველების, საშუალო ტანის პირხმელი მამაკაცი—ოტია ესებუა. გაიცნობდით თუ არა, უმალვე მისდამი პატივისცემის გრძნობა დაგებადებოდათ. დინჯი საუბარი იცოდა, სიტყვას დაკვირვებით ამბობდა, მოძრაობა აუჩქარებელი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს იგრძნობდით, რომ საჭირო წუთში მეტად სწრაფი და დაუცხრომელი იქნებოდა.

ოტიას კარგი სახელი ჰქონდა კოლმეურნეობაში როგორც გამოცდილ მენახირეს. ამავე დროს განთქმული მონადირეც იყო. სახლის გარეკედელზე მიეკედილი ჰქონდა მისგანვე მოკლული ჯიხვების რქები, ხოლო ოთახში ტახტზე ეფინა ნანადირევი დათვის ტყავები.

ოტიას ცოლს ფელიკო ერქვა. მშვიდი და ალერსიანი ქალი იყო. ისეთი გულკეთილი ღიმილით შეგებება იცოდა, რომ ადამიანს გულს გაუნათლებდა. სანდომიანი სახე ჰქონდა და ეტყობოდა, რომ ქალიშვილობაში ძალიან ლამაზი იყო.

ერთი შვილი ჰყავდათ ესებუებს,—ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ზურაბი, რომელსაც შინაურობაში ზურიას ეძახდნენ. ბიჭი საოცრად გავდა თავის მამას. ისეთივე წაბლისფერი თვალები და ქერა თმა, ისეთივე ცხვირი, რომელზედაც უკვე შეინიშნებოდა ოტიას კაუჭი. ლაპარაკიც იმგვარივე იცოდა,—აუჩქარებელი, დინჯი, თითქოს სწონიდაო თითოეულ სიტყვას. უნებურად გაიღიმებდა კაცი, როცა ოტიას ამ პატარა განმეორებას დაინახავდა.

მამა და შვილი ერთმანეთთან დამეგობრებულნი იყვნენ. ოტია ალერსით არ ანებივრებდა ვაჟს, თუმცა ძლიერ უყვარდა. მშობლები უყურებდნენ პატარა ზურიას, როგორც ოჯახის მომავალ პატრონს, სკოლაში ასწავლიდნენ და სოფლად საჭირო საქმესაც აჩვევდნენ. ოტიას არაერთხელ სანადიროდაც წაუყვანია შვილი და ნადირობის წესებს აცნობდა.

ეს პატარა ოჯახი ომის პირობებშიც არ იშლიდა თავის ჩვეულებას. ეს ჩვეულება კი ჩვენებურ გლეხს ძალ-რბილში აქვს გამჯდარი და თაობიდან თაობაში გადაადგილებს. თქვენ იცით, როგორია ჩვენებური გლეხი,—სტუმართმოყვარე, პურადი, თავისი ქვეყნის მოტრფიალე, მოკეთისათვის თავდადებული და სხვა მრავალი კეთილი ღირსებით შემკული.

ფელიკო და ოტია რაკი ერთხელვე დამიმეგობრდნენ, თავის თავს ვალდებულად თვლიდნენ ჩემდამი ყურადღება გამოეჩინათ. ერთხელ, ნაშუადღევს, ოტია სრულიად მოულოდნელად ჩემთან გაჩნდა სანგარში: — „რამდენიმე დღეა შენზე არაფერი ვიცოდით და ამბის გასაგებად მოვედიო“,—მითხრა მან.



ოჯახის უფროსი იყო ჭაღარაშერეული საშუალო ტანის, პირხმელი მამაკაცი — ოტია ესებუა.

იმ ადგილებში დღით გამოჩენა სიკვდილთან თამაშს უდრიდა. მტერს ისეთი ადგილი ეპირა, რომ არაფერი არ დაურჩებოდა შეუმჩნეველი. ოტიას ტყვია უმალვე მოხვდებოდა ყველას, ვინც გამოჩენას გაბედავდა. ოტია კი უვნებლად მოდიოდა და მიდიოდა. ამ გარემოებამ ის აზრი დამიბადა, რომ მან, ძველმა მონადირემ, საიდუმლო და უჩინარი ბილიკები იცოდა. ასეთ კაცს ჩვენთვის დახმარების გაწევა შეეძლო, თუ ამის საჭიროება დადგებოდა.

ჩვენ მუდამ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ მტერი დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა გადმოელახა ზღუდე და ჩვენზე იერიშით წამოსულიყო. ველოდით ამას და ფხიზლად ვიყავით. მთელ ჩემს ნაწილს ერთსულოვნად გადაწყვეტილი ჰქონდა თავი გაეწირა, ოღონდ კი მოწინააღმდეგისათვის წინ წამოსვლის საშუალება არ მიეცა. რამდენიმე ხანი ასე უმოქმედოდ ვიდექით ჩვენ და მოპირდაპირეც.

ჩვენს წინაშე მაღე ასეთი ამოცანა დადგა: არა მხოლოდ თავდაცვა, არამედ მტრის გარემოცვა და მოსპობა! სარდლობის ამ დავალებას ჩვენ მივაღწევდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი მხრიდან შემოვუვლიდით მაღლობზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს და მის ზურგში ერთ მაღალ, თითქმის ტიტველ მთას დავიკავებდით.

კარგად ვიცოდი ჩემი მებრძოლების ამბავი. დარწმუნებული ვიყავი მათ სიმამაცეში, მაგრამ ვშიშობდი, რომ ბევრს უსარგებლოდ დავღუპავდი, თუ ამ ადგილების მცოდნე გამყოლებს არ მოვიშველიებდი.

ამაზე დაფიქრებულს ოტია ესებუა მომაგონდა.

„აი ვინ გამომადგება ამ საქმეში!—ვუთხარი ჩემ თავს.—ოტია სხვა საიმედო გამყოლსაც გამომინახავს!“

დადგა ის დღე, როცა სარდლობის ბრძანებით მტერზე იერიში უნდა მიგვეტანა.

ჩვენ ვემზადებოდით, მაგრამ არც მოპირდაპირე იყო გულხელდაკრეფილი. თითქოს იგრძნო ჩვენი განზრახვა, თვითონაც ამოძრავდა. მტრის თვითმფრინავები იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად თავს დაგვტრიალებდნენ, გვზვერავდნენ და ხანდახან ალალბედზე ხევში ბომბებს ყრიდნენ. სოფელზედაც გაანავარდეს რამდენჯერმე და იქაც მომაკვდინებელი ლითონი ჩამოყარეს. სოფლის მხარეზე ნაშუადღევს კვამ-

ლიც დავინახე. ალბათ, რაღაცას დასცემოდა ბომბი და ცეცხლი მოკიდებოდა.

შებინდდა თუ არა, სოფელს მივაშურე. ოტია უნდა მენახა და მისი დახმარებით ბილიკების მცოდნენი შემერჩია.

ბნელოდა, როცა სოფელს მივაღწიე. წავედი ოტიას სახლისკენ, მაგრამ იქ მხოლოდ ცარიელი ადგილი დამხვდა. მიმოვიხედე, თითქოს ნაცნობი ეზო იყო, მაგრამ სახლი მაინც არ ჩანდა. აი, ის კაკლის ხე, აი, ის ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი... მაგრამ თვითონ სახლი?

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის... ოტიას სახლი ცეცხლს შთაენთქა. გარშემო ფერფლი ეყარა და აქა-იქ პატარა კვამლი ბოლავდა.

შორიახლოს ვიღაც მამაკაცს მოვკარი თვალი და მისკენ გავწიე.

— რა მოხდა აქ?—ვკითხე გაოცებულმა.—სად არის ოტია?

მამაკაცმა შემდეგი მიამბო: მტრის თვითმფრინავმა დილით ბომბები ჩამოყარა სოფელში და რამდენიმე სახლი დაწვა. ერთ სახლში, რომელსაც ცეცხლი მოედვა, ავადმყოფი იწვა. მისი გამოყვანის იმედი აღარავის ჰქონდა. ოთახიდან სასოწარკვეთილი ხმა ისმოდა, მაგრამ მიშველებას ვერავინ ბედავდა. უეცრად იქ ოტია გაჩნდა. ალში გახვეულ თავისი სახლისათვის რომ ვეღარ ეშველნა, მეზობლის დასახმარებლად გამოქცეულიყო. ოტია შევარდა ავადმყოფთან და მალე ზურგით გამოიტანა ის. მაგრამ გარეთ გამოვიდა თუ არა, მაშინვე უგრძნობლად მიწაზე დავარდა. სახე და ხელები დამწვარი ჰქონდა. მეზობლებმა იმავ წუთში საკაცე გაამზადეს, ზედ დააწვინეს და სოფლის საავადმყოფოში წაიყვანეს.

— ოტიას ცოლმა და შვილმა კი აი, იქ შეაფარეს თავი,—მითხრა ბოლოს და ერთ შენობაზე მიმითითა.

წავედი იქითკენ, შევაღე სახლის კარები და შევედი. დიდ ოთახში თავი მოეყარათ დედაკაცებს. ისინი მწუხარებას მოეცვა და მდუმარედ ისხდნენ. მათ შორის ფელიკოც იყო. დამინახა თუ არა, მძიმედ წამოდგა, ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა, შეეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოზღვავებულმა მწუხარებამ და ცრემლებმა ხმის ამოღება არ აცალეს.

მალე მისი ზურიაც დავინახე. ის კუთხეში მოკრუნჩხულიყო. ჩუმად, უძრავად იჯდა. ეტყობოდა, რომ მწარე ფიქრებს შეეპყრო. მწუხარებასთან ერთად თვალებში ბრაზი და გაბოროტება უელავდა.

ფრთხილად მიიწევდნენ მებრძოლები.

სახლში სიჩუმე იყო. გარეთაც არაფერი არ არღვევდა საღამოს მყუდროებას. მხოლოდ ერთხელ, ისიც წუთით, თვითმფრინავის შორეული ზუზუნი მომესმა.

ხანგრძლივად დარჩენის საშუალება არ მქონდა. როგორც შემეძლო გავამხნევე ფელიკო, დავემშვიდობე მწუხარე დედაკაცებს და ჩემთვის საჭირო სოფლელების თავმოყრას შევუდექი. ეს საქმეც მალე მოვაგვარე, ამორჩეულ კაცებს დავავალე საჩქაროდ ჩემთან, ნაწილში მოსულიყვნენ და უკანვე გავსწიე.

დაბრუნებისას დავიარე ჩემი ნაწილის ყველა საფარი და კიდევ ერთხელ განვუმარტე მებრძოლებს, თუ როგორ ემოქმედნათ.

ამასობაში სოფლიდანაც მოვიდნენ.

— ყველა გამოცხადდა?—ვკითხე მე.

— ყველა!—ხალისიანად შემეხმიანა ერთი შუახნის კოლმეურნე.—მგონი მეტიც ვართ... ბიჭიც კი წამოვიდა. ყური მოჰკრა თუ რისთვისაც მოვდიოდით და აგვეტორღიალა. არ გვინდოდა მისი წამოყვანა, მაგრამ არ მოგვშორდა.

— სადაა ზურაბი?—ვკითხე მე, როცა მათ შორის ვერ დავინახე.—ახლავე მიპოვეთ!

ის საფარში დარჩენილიყო ნაცნობ არმიელებთან.

— შენ, რა თქმა უნდა, ყოჩაღი ყოფილხარ, რომ მამის მაგიერობა გინდა გასწიო,—ვუთხარი ზურაბს როცა მომიყვანეს,—მაგრამ მაინც ახლავე დატოვე აქაურობა და სოფელში დაბრუნდი.

ზურაბმა უკმაყოფილოდ შემომხედა.

— დედაშენი მარტოა, მას ისედაც დიდი მწუ-

ხარება დაატყდა თავს და მოვალე ხარ მასთან იყო. წადი!

ზურაბი თავდახრილი და მდუმარედ იდგა.

— გარდა ამისა,—თავზე ხელი გადავუსვი და ალერსიანად ქოჩორი ავუშალე,—ბავშვის ადგილი აქ არაა. განა არ იცი, რა საშიროება გელის? ისევ ჯიუტად, ხმაამოუღებლად იდგა.

— გესმის, რა გითხარი?— უკვე წყრომით მივმართე მისი ურჩობით ნაწყენმა.

მხოლოდ მაშინ ასწია თავი და ჩაილაპარაკა:

— დამტოვე, მამა მადლობასაც გეტყვის შემდეგ...

— შინ დაბრუნდები ახლავე!—უკვე გულმოსულად მივაძახე.—გიბრძანებ!

ვეღარ გამბედა სიტყვის შემობრუნება, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით გაშორდა. გავაყოლე თვალი და უნებურად ისევ ოტია მომაგონდა. ამ პატარა ბიჭს სულ მამის სიარული ჰქონდა, მიაბიჯებდა ოდნავი ქანაობით, მხრებაწეული, აუჩქარებლად.

— ზურია!—დავაწიე ხმა და როცა ის შემობრუნდა, ალერსიანად გადავძახე:— იმედი მაქვს მალე შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ ერთად წავიდეთ მამაშენის სანახავად!

არაფერი მიპასუხა, მხოლოდ წუთით შეჩერდა და რა დარწმუნდა, რომ მეტის თქმას აღარ ვაპირებდი, განაგრძო გზა. ვგრძნობდი, რომ გულნატკენი მშორდებოდა.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო. ულრუბლო ცა უთვალავი ვარსკვლავით იყო მოფენილი. როგორც ამ დროს ბუნებას წესად აქვს, ვარსკვლავები ხშირად სწყდებოდნენ ცას, გადაირბენდნენ, წუთით ნათელ კვალს დატოვებდნენ, შემდეგ ქრებოდნენ და სამუდამოდ იკარგებოდნენ უსაზღვრო სივრცეში.

ღამის სიბნელეს თვალი შეჩვეული მქონდა. გარკვევით ვხედავდი იმ მთას, რომელიც უნდა გაგვენთავისუფლებია. ისედაც მაღალი მწვერვალი, ღამეში კიდევ უფრო მაღალი და პირქუში ჩანდა. მრავალი საშიში ადგილი უნდა გაგვევლო; სანამ მას მივაღწევდით. მკაცრი და დაუნდობელია მთის ბუნება, კლდეებში ყოველ ნაბიჯზე კაცს საფრთხე ელის, მაგრამ ახლა უფრო ბოროტი მტერი იყო თვითონ ადამიანი, რომელიც მთის კალთებზე იარაღით ხელში იდგა ჩვენს წინააღმდეგ.

დანიშნულ საათზე ჩემი ნაწილი იმ მთისკენ დაიძრა.

სულდგმულის ხმა არსად ისმოდა. ბუნებაც ყუჩდა. მხოლოდ ხანდახან, ადამიანის ფეხით გარეული ქვა მოსწყდებოდა ადგილს და ხმაურით უფსკრულში დაგორდებოდა.

გადავიარეთ თუ არა ჩქარი პატარა მდინარეები, ჯგუფებად დავყავი ნაწილი, თითოეულს გავაყოლე ბილიკების მცოდნე და ვბრძანე ყველა ადგილიდან ერთბაშად ეირიშზე გადასულიყვნენ, როგორც კი სროლას გაიგონებდნენ ჩვენი მხრიდან.

განთიადი ახლოვდებოდა. შეფერმკრთალდნენ ვარსკვლავები და შემდეგ ნელი-ნელ ქრობა იწყეს. ხევში ჯერ კიდევ ბნელოდა. ნათელის მოახლოება მხოლოდ ცას ეჩჩნეოდა. გარემომ ფერი იცვალა, უფრო გარკვევით გამოჩნდნენ მთები და თითქოს ჰაერმაც გაიღვიძაო, სიო დაიძრა და ხეთა წვერები შეარხია.

ფრთხილად მიიწევდნენ მებრძოლები. თვალს ვადევნებდი ნაწილის მოძრაობას და იმედიანად ვიყავი. ფერდობის შუაგულს მე მივყვებოდი. მარჯვნივ მეორე ჯგუფი ციცაბოზე მიფოფხავდა. მარცხნივ მიმავალმა ჯგუფმა სწრაფად აიარა ერთი შეეული ადგილი და უფსკრულის თავზე ბილიკს გაჰყვა. ეს იყო ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე ღრმად უნდა შეეჭრილიყო ზურგში. ჩემი ყურადღება წუთით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ჯგუფში შევნიშნე ვიღაც პატარა ტანის კაცი. შორიდან ის ბავშვს უფრო გავდა. თვალი გავაყოლე, მივაცქერდი, მაგრამ მან ქურციკივით აირბინა ბილიკი და მალე სხვებთან ერთად კლდეს მიეფარა.

როგორც წინასწარ გამიზნული გვქონდა, შევჩერდით იმ ადგილთან, სადაც პატარა ტაფობი იწყებოდა. გარშემო ისევ სიჩუმე იყო. მებრძოლებს თვალი მოვავლე. მათ სახეებზე სიმტკიცე და გამბედაობა ისახებოდა. მჯეროდა, რომ ისინი არ შედრკებოდნენ.

მზის პირველი სხივი ავარდა ცაში, ვარდისფრად შეღება მწვერვალის თავზე ღამენათევი ღრუბლის ნაფლეთი და თითქმის იმავე დროს სროლა და ყიჟინა გაისმა.

ქვემეხების ტექა-ქუხილისაგან მთები ირყეოდნენ. გეგონებოდათ, ცა და მიწა ჯოჯოხეთურ ცეცხლში იყო გახვეული. არაერთხელ ხელდახელ შებმაც დაგვჭირდა. მთელი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა. მხოლოდ მეორე დღეს დილით დაჰყარა მტერმა იარაღი და ყველა მაღლობზე ჩვენი ალამი აფრიალდა.

დავიარე ჩემი ნაწილი და ბოლოს მივედი იმ ჯგუფთან, რომელსაც მძიმე და სახიფათო დავალება ჰქონდა: ჩრდილოეთის მხრიდან შემოვევლო მთა და მტერს იქიდან თავს დასხმოდა. რა სახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულით შეეხვედით ერთმანეთს მე და ჩემი მებრძოლები! როგორც საყვარელ ძმებს და შვილებს, ისე ვეხვეოდი მათ.

უეცრად დავინახე, რომ ხის ძირში ვიღაც იწვა მაზარაში გამოხვეული. ვიფიქრე, უბედურება ეწიამეთქი და შემკრთალი მივაჩერდი. ჩემი შიში შენიშნა ერთმა ჯარისკაცმა და ღიმილით მითხრა:

— სძინავს, ამხანაგო მაიორო... დაიღალა საწყალი ბიჭი...

— ვინ ბიჭი?—ვკითხე გაოცებულმა.

— აი, ის პატარა, თქვენ რომ ბილიკების მაჩვენებლად დაგინიშნავთ მთავარ გამყოლთან ერთად...

მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდა. ერთი წუთით გავბრაზდი კიდევაც, მაგრამ რაღა დროს იყო...

— აი, შე ეშმაკო, შენა!—ჩავილაპარაკე და უნებურად გამეღიმა.—ხედავთ, როგორ მომატყუა!

დავიხარე და მაზარის კალთა ფრთხილად გადავხადე თავზე. რა თქმა უნდა, ზურაბი იყო. ლოყა ხელისგულზე დაედვა და, როგორც ბავშვებს ჩვევიათ, ღრმად და მშვიდად ეძინა.

— ძალიან დაიქანცა,—აღერსიანად დაჭყურებდა ჯარისკაცი,—კარგი სამსახური კი გაგვიწია... ისეთი ბილიკები სცოდნია, რომ...

თავი ვერ შევიმაგრე, დავიხარე და ვაკოცე.

მეორე დღეს ზურაბს შტაბში გამოვუძახე და ორჯერ დამჭირდა კაცის გაგზავნა მის მოსაყვანად. მერიდებოდა და არ მოდიოდა.

— მადლობას გიცხადებ!—ვუთხარი ზურიას.—მამაცობისათვის შენ ჯილდოს ღირსი ხარ, მაგრამ...

ბიჭმა იგრძნო, რომ დატუქსვას ვუპირებდი და თავი დახარა.

— რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება? მე ხომ გითხარი, რომ შინ დაბრუნებულიყავი? იცი

— დიახ, აი, იქ, ზევით, ტაფობის თავზე [რომ სოფელია, იქაური.

თუ არა, რომ ვინც ურჩობას გასწევს, სასტიკად უნდა დაისაჯოს?

ზურიამ უფრო დაბლა დახარა თავი.

— დაუყოვნებლივ შინ გასწი! გესმის?

შეტრიალდა წასასვლელად, მაგრამ ხელი დავტაცე და მკერდზე მივიკარ.

— ახლა კი წადი, ჩემო ბიჭუნა, —ვუთხარი ბოლოს ალერსიანად,—მშობლები მომიკითხე. ჩვენ კიდევ შევხვდებით და ვნახავთ ერთმანეთს...

და, აი, ისე მოხდა, რომ მხოლოდ ათი წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს.

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, როგორც იცი, ჩემს ძველ პროფესიას დავუბრუნდი.

ერთი კვირის წინ, სამსახურის საქმეების გამო,—დავალებული მქონდა ტყეების შემოვლა და გამოკვლევა,—ისევ მომიხდა სოხუმის ჩრდილოეთით იმ ადგილებში ასვლა, სადაც ოდესღაც ჩემი ნაწილი იდგა.

ცხენით მივდიოდი. ზაფხულის მზიანი დღე იყო. გზა ტყეში მიიმართებოდა. პირველად ვიყავი ამ ადგილებში იმ დროიდან, როცა მტრისგან ვიცავდით აქაურობას. არც თუ დიდხანს გაევლო იმის შემდეგ და მაინც რაღაც შორეულ მოჩვენებად, ავ სიზმრად წარმომიდგნენ ის მრისხანე შავბნელი დღეები.

აღმართში ვიღაც ახალგაზრდა ცხენოსანი წამომეწია.

— შორს მიბრძანდებით?—მკითხა მისალმების შემდეგ.

ვუთხარი, სად და რისთვის მივდიოდი.

— მაშ ჯერჯერობით ერთი გზა გვაქვს,—თქვა უცნობმა მხედარმა,—აი, იმ ტაფობის ძირში დავშორდებით ერთმანეთს. იქიდან თქვენ მარცხნივ გაუხვევთ, მე კი პირდაპირ წავალ. პირველად ხართ ამ კუთხეში?

— არა, ნამყოფი ვარ,—ვუპასუხე,—მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა...

მხედარმა თანაგრძნობით გადმომხედა და შემომთავაზა:

— ძალიან საშურო საქმეზე მიმეჩქარება, კოლმეურნეები მელოდებიან აი, იქ, ქვემო სოფელში, მაგრამ თუ შიშობთ, რომ გზას ვერ გააგნებთ, ცოტაზე მაინც გაგაყვებით...

უარი ვუთხარი და თანაც მადლობა გადავუხადე თავაზიანობისათვის.

მოხდენილი ვაჟკაცი იყო, პირველ შეხედვიდანვე მომეწონა, ხოლო იმ გულისხმიერების შემდეგ, რომელიც მან გამოიჩინა, კიდევ უფრო მიიზიდა ჩემი გული. ღონიერი, თავში გამწვევი ზერდაგი ჰყავდა მას და ჩემს ცხენს ხან შოლტით და ხან ფერდებში ქუსლის შემორტყმით ვაჩქარებდი, რომ არ ჩამორჩენილიყო.

— აქაური ხართ?—ვკითხე თანამგზავრს.

— დიახ, აი, იქ, ზევით, ტაფობის თავზე რომ სოფელია, იქაური. ეს ერთი თვეა ვმუშაობ კიდევაც იქ... შარშან ზოოტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, ერთ ხანს სოხუმში ვმუშაობდი, ახლა კი ჩვენს კოლმეურნეობაში გადმოვედი...

— მინახავს თქვენი სოფელი, ომის დროს ვიყავი იქ,—ვუთხარი მე,—ლამაზი ადგილია, ოღონდ...

მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მაღალზეა, მაგრამ მხედარმა სიტყვა ჩამომართვა და ხალისიანად წამოიძახა:

— ომის დროს! ახლა უნდა ნახოთ, თუ გინდათ მისი ნამდვილი სილამაზე და სიკეთე იგრძნოთ! ახლა სულ სხვაა ჩემი სოფელი. ისეთია, ავ თვალს არ ენახება. გაფართოვდა, გამშვენიერდა, დოვლათით აივსო!— წუთით დადუმდა და მერე დაუმატა:—თუ ჩვენსკენაც გექნებათ საქმე, პირდაპირ ჩემთან მოდით. სიამოვნებით დაგეხმარებით, თუ რაიმე დაგჭირდათ. ბინაც ჩემთან იგულეთ. ახალი სახლი გვაქვს, კარგად მოგასვენებთ. ადვილად მომაგნებთ, მესაქონლეობის ფერმის ბრიგადირი ოტია ესებუა იკითხეთ და მამაჩემის სახლს ყველა მოგასწავლით...

ამის გაგონებაზე გული შემიტოკდა. მივაშტერდი ჩემს თანამგზავრს, თითქოს თვალებიდან რიდე ჩამომეხსნაო, მაშინვე ვიცანი ვინც იყო, და ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმიანად შევძახე:

— ზურია!

მან გაოცებით შემომხედა, როცა თავისი სახელი გაიგონა.

რა თქმა უნდა, ის იყო, ის! ოდესღაც პატარა ზურია, ახლა მშვენიერი და ხალისიანი ვაჟკაცი!

— საიდან იცით რა მქვია?—მკითხა გაკვირვებულმა.

ისეთი გაოცებული იყო, რომ ცხენი შეაჩერა და ერთ ხანს გაშტერებით მიყურა.

— ვერ გაიხსენე ჩემი სახე?—ვკითხე ღიმილით.—მაშ იქნებ გაიხსენო, თუ როგორი [illegible] გამიწია ერთხელ, როცა მწერვალის ასაღმართზე ჩემს ნაწილს გაჰყევი... ან იქნებ მამაშენი [illegible] ხოლმე თავის მეგობარ მაიორს...

მან მაშინვე თავისი ზერდაგი მოაგდო ჩემს ლაფუასთან, უნდოდა გადამხვეოდა, მაგრამ ცხენი დაფრთხა და გახტა. გადმოხტა უნაგირიდან, მეც ჩამოვქვეითდი და მხურვალედ გადავეხვიეთ ერთმეორეს. მღელვარებისაგან ერთ ხანს უსიტყვოდ შევხაროდით და შევყურებდით ერთმანეთს.

— რა მოხდებოდა შემდეგ, ეს თქვენთვისაც ადვილად გასაგები იქნება,—დაამთავრა ამბავი ჩემმა მეგობარმა მეტყველმ,—ზურიამ სიტყვა ჩამომართვა, რომ მოვრჩებოდი საქმეს თუ არა, ვსტუმრებოდი.

ვეწვიე კიდევაც. ზურაბმა მართალი მითხრა,—ძალიან გამოცვლილიყო იქაურობა. სიმდიდრე და კმაყოფილება იგრძნობოდა სოფელში. აი, ოტიას კაკლისხე, ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი, მხოლოდ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად ნაცარი და ფერფლი დავტოვე, ახლა ოდა იყო წამოჭიმული... როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ ძმას, ისე შემხვდნენ ფელიკო და ოტია. ქალმა წაიტირა კიდევაც სიხარულისაგან. განელილ წლებს თავისი კვალი დაეჩნია ჩემს მეგობრებზე, განსაკუთრებით ფელიკოზე.—ძველი ჯანი აღარ ჰქონდა და, როგორც მოხუცებაში შესულ ადამიანს ჩვევია, წინანდელზე უფრო ალერსიანი და დამტკბარი იყო თითოეული მისი სიტყვა. ასეთი დატკბობა იცის ყველა კეთილმა ნაყოფმა, როცა შემოდგომა დაუდგება. ოტიას ძალზე მორეოდა ჭაღარა, ლოყაზე ერთგან დამწვრის კვალი აჩნდა, სხვად კი იგივე იყო რაც წინათ,—მხნე, ისევ ის კუშტი გამომეტყველება, ისევ ის დინჯი მოსაუბრე და ნადირობის მოტრფიალე. ჩვენ მრავალი რამ გავიხსენეთ წარსულიდან და ბევრი რამ ახალიც გავუზიარეთ ერთმანეთს. ცხოვრების ხალისი ჩანდა ოტიაში, სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდა სოფლის მომავალზე, თავის ფერმაზე, მეზობლებზე, შვილზე და თავის თავს ბედნიერ ადამიანად თვლიდა.

ორი დღე დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძლებთან. მესამე დილას დავემშვიდობე და გამოვბრუნდი. მამამ და შვილმა დაღმართზე ჩამომაცილეს და მთავარ გზამდე მომყვნენ. ისინი კიდევ დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას და ჩემკენ იცქირებოდნენ, როცა მოსახვევთან უკანასკნელად მოვიხედე, ისინი ხელების აწევით გამომეთხოვნენ, გააბრუნეს ცხენები და ჭენებით გასწიეს.

მოვდიოდი და სიხარული მომყვებოდა. ალბათ, გამოგიცდიათ, კარგი თანამგზავრია სიხარული! ღირდა, რა თქმა უნდა, მრავალი გასაჭირი გადამეტანა წარსულში და თავიც გამეწირა, ოღონდ ისევ ხალისი შერჩენოდა ბევრ სხვა ოტიასაც და მომავალი არ დაჭკარგოდა მრავალ სხვა ზურიასაც. მოვდიოდი და გულს ემღერებოდა, თვალი ვერ ძღებოდა გარემოს სილამაზით. და განა მარტო მე, ეს მწვანედ დაბურული მთები, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ხმას გამოსცემდა. მღეროდა მზეც, რომელიც ოქროდ გადმოღვრილიყო ამ მადლიან დედამიწაზე. არა, არასდროს არ დაცხრება ჩემი ქვეყნის მზე, არასდროს არ შეწყდება ჩემს ქვეყანაში ხალისი და სიმღერა!

გიორგი ქაჭახიძე

გაზრდილან, დამშვენებულან...

გაზრდილან, მკვიდრად შეუკრავთ
ხშირი ტოტებით თაღი,
თვალის საამოდ მოურთავთ
სკოლის ეზო და ბაღი.

პიონერები ვიყავით,
კარგი დღეც გვიდგა კარგებს,
ეს ტანაყრილი ხეები
აქ რომ ხალისით დავრგეთ.

ნორჩები იყვნენ და გვალვა
არ გავაკარეთ ახლოს;
დღეს ეხვევიან ერთმანეთს
და ყველა მკვიდრად სახლობს.

სიხარულს დაჩვეულები
არც მოელიან ხიფათს.
ზოგის ნაყოფი გვახარებს,
ზოგი შრიალით გვხიბლავს.

ყველას თავისი გვარი აქვს,
ყველას თავისი წესი;
მათი ენა და სიმღერა
თქვენც, ყმაწვილებო, გესმით.

გულით შეჰხარით, ეძახით
ყველას თავიანთ სახელს,
ხელში წიგნით და რვეულით
მათ ჩრდილში ბევრჯერ განახეთ.

მაგრამ მე ვხედავ თქვენს თვალში
იმ სიხარულსაც ახლა,
როცა თქვენს მოზარდ ნარგავებს
ასე ტანაყრილს ნახავთ.

ემ. ფეიგინი

ნახ. გ. თოთიბაძისა

ჭრამაღელი ბიჭი

მოთხრობა

მისაღები გამოცდები ახლახან დაიწყო და სასწავლებელში შემსვლელებს ჯერ ერთმანეთის გაცნობაც არ მოუსწრიათ. მართალი რომ ითქვას, ახალბედები არც თუ ძალიან ცდილობენ ამას. ახლა მათ ყურადღებას სულ სხვა რამ იტაცებს: ეს ერთმანეთისგან განსხვავებული და სხვადასხვანაირად ჩაცმული ბიჭუნები დაუფარავი აღტაცებით, გაფართოებული თვალებით ათვალიერებენ ნახიმოველებს, უფრო მეტად კი მათ მშვენიერ, სანატრელ საზღვაო ტანსაცმელს. თითოეული მათგანი თავისთვის ფიქრობს: «აი, როგორ გამოვეწყობი მეც რამდენიმე დღის შემდეგ, თუ კი... თუ კი გამოცდებზე ცუდად არ წამივიდა საქმე». ზოგს ამის გაფიქრებისას ნაღვლიანად ეკუმშება გული, ზოგი მთელის ძალით ცდილობს არ იფიქროს ცუდზე. ასეა თუ ისე, ბიჭუნები მაინც ღელავენ... მაგრამ განა თავის მღელვარებას აგრე ადვილად გამოამჟღავნებს თორმეტი წლის ბიჭი, თანაც ისეთი, რომელმაც გადაწყვიტა სამხედრო მეზღვაურად გახდომა და რახანია წვრთნის და აფოლადებს თავის ნებისყოფას?!

არა, გარეგნული იერით ვერც კი შეატყობ, თუ ახალბედები ღელავენ. პირიქით, აი, სერიოჟა ოგნევს სრულიად უზრუნველი გამომეტყველება აქვს. აშკარაა, ეს ბიჭი არც კი ეჭვობს, რომ ნახიმოველი გახდება, გამოწყობილიც თითქმის ისეა, როგორც ნახიმოველი: მეზღვაურული ყაიდის შარვალი აცვია, ქურთუკიც რაღაცით მიუგავს ფლანელს, ქამარი ხომ ნამდვილად საზღვაო შემოუკრავს, რომლის ბრინჯაოს ღუზიანი ბალთა სარკესავითაა გაპრიალებული. სერიოჟას მოძრავ, ყავისფრად მზემოკიდებულ სახეზე ცნობისმოყვარეობაა აღბეჭდილი. ერთ ადგილზე ვერ ჩერდება და ნახიმოველთა სასწავლებლის შესახებ უკვე იმაზე მეტი იცის, რაც ყველა ახალბედამ ერთად. სერიოჟა თავის შთაბეჭდილებებს ხალისით უზიარებს ბავშვებს, მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი გულღია ხასიათის ბიჭია, არა მას აშკარად უნდა საერთო ყურადღება მიიქციოს. როგორც ჩანს, თავის ბუნებრივ ... კლასში პირველობას შესჩვეია.

აი, ახლაც სერიოჟა ეზოდან გამორბის და ... სიამაყით აცხადებს:

— აი, სწორედ ახლა თვითონ ამხანაგმა მიჩმანმა შენნაირ მომცა... აი, სწორედ იმან, ულვაშიანმა. ისე შემახედა, რომ სულ თავგზა დამიბნია: «ამხანაგო მომავალო აღსაზრდელო, — მეუბნება, — ამოიღე ჯიბეებიდან ხელები, ეს ჩვენთან მიუღებელია».

ბევრი ახალბედა გულწრფელი შურითა და პატივისცემით შესცქერის სერიოჟას: აი, ეს არის ვაჟკაცობა! პირველ დღესვე თვითონ მიჩმანმა შეამჩნია...

მხოლოდ გრიშა ზუბკოვი, ჯმუხა, ქერათმიანი ბიჭი, უმცროსოფილოდ იმმუხნის მზეზე გატრუსულ წარბებს:

— შენც იპოვე რაღა სატრაბახო, — მხრების აწევით ამბობს ის, — თითქოს ჯილდო მიგეღოს!

სწრაფად, ფეხებიდან თავამდე, აათვალიერებს სერიოჟა გრიშა ზუბკოვს და კბილების ღრჭენით ფიქრობს, თუ როგორ გასცეს საკადრისი პასუხი ამ თავხედურ გამოხდომას. მაგრამ სანამ რამეს მოიფიქრებდეს, ზიზღით ეკითხება:

— ჯილდო რას მიქვია, მე უიმისოდაც არა მიშავს-რა. შენ კი, როგორც ვეტყობა, ჯილდოს გარეშე არ შეგიძლია, შუბლზეც კი მიგიკერებია...

ბიჭები უნებურად აცქერდებიან ზუბკოვის გამოზნექილ შუბლს. მარცხენა წარბს ზემოთ მას წითლად ამჩნევია ამოტეტული ნაჭრილობევი.

— ალბათ, მოუკრეფავში გადასვლა გიყვარს, — განაგრძობს სერიოჟა, — გიყვარს ჩხუბის ატეხა და აი, მიგიღია კიდეც ჯილდო!

— რა ვუყოთ, თავის დროზე ხურდის გაცემაც შემიძლია,— მშვიდად და დამაჯერებლად უპასუხებს გრიშა,— მაგრამ ეს ნაჭრილობევი ჩხუბისგან კი არა მაქვს, ცხენმა მკრა წიხლი.

ამ სიტყვებით დაინტერესებული ბიჭები გარს ეხვევიან ზუბკოვს.

ვიღაც ეკითხება:

— დიდმა ცხენმა?

— გეტკინა?

— არ ვიცი. სამ დღე და ღამეს უგრძნობლად ვიწექი საავადმყოფოში — მერე აღარ მტკიოდა.

ბიჭები უკვე საბოლოოდ ივიწყებენ სერიოჟას და შეკითხვას შეკითხვაზე აყრიან ზუბკოვს. ზოგი სიფრთხილითა და პატივისცემითაც კი ეხება მის ნაჭრილობევს. გულით რომ ითქვას, სერიოჟასაც კი უნდა შეეხოს ზუბკოვის ნაჭრილობევს, მაგრამ სერიოჟა პირველობის დათმობას ჩვეული არ არის, მან ახლაც აუცილებლად უნდა მოიფიქროს ისეთი რამ, რითაც მიხიბლული ბიჭების ყურადღებას ზუბკოვს ჩამოაშორებს. აბა, მოიფიქრა!

სერიოჟა მიდის მაგიდისკენ, რომელზეც მისი პატარა გაცვეთილი პორტფელი დევს. ხსნის და გეოგრაფიულ რუკას იღებს.

— ბიჭებო, მოდით დედამიწის გარშემო მოგზაურობა ვითამაშოთ.

— ვითამაშოთ, — მაშინვე ეთანხმება ზუბკოვი. მას უკვე მოსწყენიდა თხრობა, თუ როგორ მოხვდა ცხენის წიხლი. ეს მისთვის უკვე ძველი და მოსაწყენი ამბავია.

ბიჭები რუკაზე იხრებიან.

— შენი რუკა ძველია, — ღიმილით ამბობს ვასტანგ ჯაფარიძე.

— რა უშავს, — გულთბილად უპასუხებს ისევ საერთო ყურადღების ცენტრში მოხვედრილი სერიოჟა, — ზღვებს, როგორც შენც მოგეხსენება, არსად გადაუნაცვლებია?!

— ეს მართალია, — ეთანხმება ვასტანგი, — აბა, დავიწყოთ!

ემ. ფეიგინი თბილისში მცხოვრები რუსი მწერალია. ეს მოთხრობა დაწერა სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

— პირველად რუკაზე ჩვენი სადაურობა უნდა აღნიშნოთ,— წინადადებას იძლევა სერიოჟა, — მე, მაგალითად, სევასტოპოლელი ვარ, შთამომავლობითი და საპატიო მეზღვაური.

— რომ შთამომავლობით მეზღვაური ხარ, ამაში არ შეგდავები, ეს შესაძლოა, რაც შეეხება პატივს... მას კი დამსახურება სჭირდება, — შენიშნავს ზუბკოვი.

— დავიმსახურებ, — დაჯერებით ამბობს სერიოჟა და რუკაზე, სწორედ იქ, სადაც სევასტოპოლია აღნიშნული, ფანქრით ბეჯითად გამოჰყავს ასოები «ს» და «ო», მაგრამ ირკვევა, რომ ახალბედებში ერთი სხვა სევასტოპოლელიც ურევია.

— მეც ჩაბწერე, — სთხოვს ის.

— შენ სადღა ჩაგწერო, ხედავ ადგილი აღარ არის, — ხელების შლით ამბობს სერიოჟა. მართლაც, მის ინიციალებს თითქმის მთელი ყირიმის ნახევარკუნძული დაუკავებიათ.

— ჩაწერე, ჩაწერე, — თხოულობს ზუბკოვი, — თუ ვთამაშობთ, წესიერად ვითამაშოთ.

სერიოჟა გაჯავრებით შეხედავს ზუბკოვს, მაგრამ ზღვის ცისფერ ზედაპირზე მაინც წერს მეორე სევასტოპოლელის ინიციალებს.

ბავშვები მორიგეობით აღნიშნავენ ინიციალებს რუკაზე.

ბათუმელი, სოხუმელი, ფოთელი, ნოვოროსიისკელი, სევასტოპოლელი, ოდესელი ბიჭები ადვილად პოულობენ თავიანთ საყვარელ ქალაქებს. მათ, მეზღვაურთა შვილებს, თავდავიწყებით უყვართ ზღვა, თავი ვერ წარმოუდგენიათ ზღვის გარეშე და იციან ყველაფერი, რაც კი მათი ასაკის ბავშვმა შეიძლება საზღვაო სამსახურის შესახებ იცოდეს.

— აბა, შენ, ზუბკოვ, სადაური ხარ? — ეკითხება სერიოჟა და ფანქარს მშობლიური ზღვის სანაპიროებს უმიზნებს.

— მე?—შეკრთომით ამბობს ზუბკოვი, თითქოს ასეთ შეკითხვას არ მოელოდაო. ის უკვე დარწმუნდა, რომ მისი ხუტორი ამ რუკაზე აღნიშნული არ არის და მისთვის ეს დედამიწის გარშემო მოგზაურობანაა ძალზე მოსაწყენი გახდა.

— მე ხუტორ ვესელიდან ვარ, — უხალისოდ აცხადებს იგი,—ოღონდ ჩემი ხუტორი შენს რუკაზე არ არის, შენი რუკა არ ვარგა.

— აბა, აბა, ხმას ნუ აუწიე, — წყენით ამბობს სერიოჟა, — ეს რუკა მამაჩემმა მაჩუქა, ის კი გემის უფროსი შტურმანია გაიგე?

— გავიგე, მაგრამ აქ მამაშენი რა შუაშია. ალბათ ეს უვარგისი რუკა აღარ სჭირდებოდა და იმიტომაც გაჩუქა.

— არ მოგწონს და ნუ ითამაშებ.

— კარგი, კარგით, — ამშვიდებს მათ ვახტანგი, — ხელახლა ნუ მისწვდებით ერთმანეთს! — ვახტანგი ვერ ითმენს როცა ადამიანები უმნიშვნელო რამეზე ეკინკლავებიან ერთმანეთს. სულ სხვა საქმეა პრინციპული დავა.

— დიდია ის შენი ხუტორი ვესელი? — ეკითხება ვახტანგი გრიშა ზუბკოვს.

— არა, პატარაა.

— აი, ხედავ, — ზეიმობს სერიოჟა, — შენ კი გინდოდა რუკაზე აღენიშნათ.

— ნუ სწუხარ, კარგ რუკებზე აღნიშნულია, მე თვითონ ვნახე. ჩვენი ხუტორი მართალია პატარაა, მაგრამ ოქროა, მთელს რაიონში განთქმული.

— რას აკეთებენ იქ, თქვენში? — ეკითხება ვახტანგი.

— როგორ თუ რას აკეთებენ? მეცხენეობას მისდევენ... ეს ერთი. მერე, ბაღები გვაქვს, ბაღჩები, ბოსტნები. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ხორბალია. ოჰ, რა მოსავალი მოვიდა წელს, ბიჭებო! ხუტორს გასცდები თუ არა და ირგვლივ მიმოიხედავ, არც დასასრული და არც ნაპირი არა აქვს ჩვენს ყანებს... ანკარა ზღვაა. მის ზედაპირზე ტალღებიც კი ლივლივებენ, ოქროსფერი ტალღები...

გრიშა ზუბკოვი საუბარმა გაიტაცა. იგი ალბათ კიდევ ბევრ რამეს უამბობდა ბიჭებს თავის ხუტორზე, თავის მშობლიურ ტრამალებზე, რადგან, უნდა ითქვას, ისინი დიდის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ მას უცებ სერიოჟამ შეაწყვეტინა.

— მამაშენი მეზღვაურია?

— არა, კომბაინერი.

— ომში რაღას აკეთებდა?

— ცხადია რასაც... კავალერისტი იყო. პაპაჩემიც კავალერისტია. ჩვენებურები უხსოვარ დროიდან ყველანი კავალერიაში მსახურობდნენ, ჩვენ ხომ კაზაკები ვართ. იცით, ჩვენში, ტრამალებში, ასეა: კაზაკი ბიჭი ფეხს აიდგამს თუ არა, მაშინვე ცხენზე შესვამენ. პაპაჩემმა მეც ბავშვობიდანვე შემასწავლა ცხენსნობა.

სერიოჟა კმაყოფილებით იცინის და ისე ამბობს თითქოს თანაუგრძნობსო:

— ეს გასაგებია. რასაც ბავშვობიდან შეეჩვევი, ცხოვრებაშიც იმ გზით იელი. ჩემთვის გაუგებარია, რატომ შედიხარ ნახიმოველების სკოლაში?

— მინდა და შევდივარ.

— ამაოდ. წინასწარ მებრალები. საზღვაო სამსახური, ეს იცი...

— შენი სიბრალული არ მჭირდება, — მკვახედ აწყვეტინებს სერიოჟას ზუბკოვი.

— არც მე მჭირდები.

მალე ისევ იფეთქებდა ჩხუბი, მაგრამ ვახტანგმა ჩააქრო დროზე მიცემული შეკითხვით. ქვეყნის გარშემო მოგზაურობის თამაში ჩაიშალა, სერიოჟას კომისიაზე გამოუძახეს, მან თავისი რუკა დაკეცა და თან წაიღო.

ვახტანგი ამ დღეს არაერთხელ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეერიგებინა გრიშა და სერიოჟა. მას ორივე ბიჭი ძალიან მოსწონდა და მათთან დამეგობრება გულით უნდოდა. ამ ამოცანის დადაჭრაში მას თავისი ბიძა როსტომი მიეშველა. მან სასწავლებელში დარეკა და გაიგო თუ არა, რომ ხვალ საგამოცდო კომისია არ იმუშავებდა, ძმისშვილს მანქანით გამოუარა. ბიძასთან მოლაპარაკების შემდეგ, გახარებულმა ვახტანგმა სწრაფად მოძებნა გრიშა და სერიოჟა, განზე გაიყვანა და საზეიმოდ გამოუცხადა:

— ბიძაჩემი სანადიროდ გვეპატიჟება, ლიახ, სამიეს... თავისი «პობედით» წაგვიყვანს და შეიძლება თოფიც კი გაგვასროლინოს. ის კეთილი კაცია, უსათუოდ მოგვცემს ნებას. აბა, თანახმა ხართ?

სერიოჟამ გრიშას გადახედა, გრიშამ — სერიოჟას, და ორივემ თავი დაიქნია.

...ინათა თუ არა გაემგზავრნენ.

გრიშა ზუბკოვი მანქანის მინას მიჰკროდა და გულისყურით ათვალიერებდა გზას: ის ხომ თავის ხუტორელ ამხანაგებს შეჰპირდა, რომ მისწერდა მათ ყველაფერს, რასაც საქართველოში ნახავდა. მანქანა, დიდი, ლამაზი ტბის ნაპირას გაჩერდა.

როსტომმა ბიჭებს დაავალა მანქანაზე თვალყური კარგად დაეჭირათ, თვითონ კი თავისი ძაღლის თანხლებით მახლობლად მდებარე გორაკებისკენ გასწია, სადაც მისი ვარაუდით მწყერები ბუდობდნენ.

ვახტანგმა და სერიოჟამ მაშინვე გაიხადეს ტანისამოსი.

— თუ გინდა ნაპირზე ჩამოვიქცევ, თუ გინდა მანქანაში, — უთხრა ვახტანგმა ზუბკოვს. ის დარწმუნებული იყო, რომ ტრამალელმა ბიჭმა ცურვა არ იცოდა და ცხადია, არც იპანაკებდა.

— აბა, წყალში შემოსვლა არ გაბედო, — დაუმატა მან მკაცრად, — ბიძაჩემი ამბობს, აქ ტბა ნაპირიდანვე ღრმააო.

სწრაფად, ფეხებიდან თავამდე აათვალიერებს სერიოჟა გრიშა ზუბკოვს.

— კარგი, მე ნაპირზე ჩამოვჯდები, — დაეთანხმა ზუბკოვი

— აგერ, იმ პატარა კუნძულისკენ გავცუროთ, — უთხრა ვახტანგს სერიოჟამ, — ჩემის აზრით იქამდე ორას მეტრზე მეტი არ იქნება. მოდი შევეჯიბროთ, ვინ ვის გაასწრებს.

— ცხადია, მე გაგასწრებ.

— ვნახოთ.

ვახტანგი და სერიოჟა წყალში გადახტნენ და უკან მიუხედავად გაცურდნენ. ისინი მხოლოდ დანიშნულ მიზანს, პატარა კუნძულის ნაპირს ხედავდნენ.

— მოდი, მოდი, მოუსვი, — მოსძახოდა დაწინაურებული სერიოჟა ვახტანგს.

კუნძულის ნაპირამდე ოცი მეტრიც არ იყო დარჩენილი, რომ უცებ სერიოჟას წინ ვიღაც ქერათმიანი ბიჭი ამოყურყუმელავდა, ეს ბიჭი საოცრად ჰგავდა ზუბკოვს. მან კოხტად მოიქნია მზე-მოკიდებული ნაკვთიანი მკლავები და სწრაფად გასცურა კუნძულისკენ.

«აი, მესმის, ზორბად მისცურავს, — გაიფიქრა სერიოჟამ, — მაგრამ საიდან გაჩნდა აქ?»

— ვინ არის? — გასძახა სერიოჟამ ვახტანგს.

— ვერ გამიგია...

მაგრამ აი, უცნობმა მოცურავემ უკვე მიაღწია კუნძულს, ნაპირზე გავიდა, მოტრიალდა და მათ იცნეს გრიშა ზუბკოვი. ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა, ის იყო.

— მომისმინე, გრიშა, რატომ დაგვიანდი, რა ცურვა იცი, — უსაყვედურა ვახტანგმა.

— როდის შემეკითხეთ? თქვენ ... გადაწყვიტეთ, რაკი ტრამალელიაო...

— პო, ჩვენ ასე ვფიქრობდით, მაინც სად ისწავლე? ტრამალებში?

— ტრამალებში... ოღონდ ზღვა ახლა ჩვენც გვაქვს.

— რომელი?

— ცხადია, რომელიც... ციმლიანსკის.

— თავიდანვე ასე გეთქვა, ბიჭო, — გაიცინა სერიოჟამ, — შორსაა თქვენი ხუტორიდან?

— ხელს მიუწვდენ. ჩვენი სახლი ზედ ნაპირზეა, ფანჯრიდან რომ ისკუპო, წყალში ჩახტები.

— გვიამბე, როგორია თქვენი ზღვა, — სთხოვა სერიოჟამ, — მართალია, კინოში ენახე, მაგრამ რაღაც ვერ წარმომიდგენია.

— რატომაც არ გიამბობთ, მაგრამ ახლა არა. ახლა ცურაობის გუნებაზე ვარ. დიდი ხანია არ მიბანავია. წავიდეთ, არა?

— წავიდეთ.

წყალში რომ შედიოდნენ, სერიოჟა თითის წვერებით ოდნავ შეეხო გრიშას, დამნაშავესავით გაიღიმა და ჩაულაპარაკა:

— შენ, იცი... ჩემზე ნაწყენი ნუ დარჩები, ცუდი ხასიათი მაქვს, განა არ ვიცი... ნახიმოელთა სასწავლებელში მოვიშლი. აი, ნახავ.

— ვნახავთ, — დარწმუნებით უპასუხა გრიშამ, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და წყალში გაუჩინარდა.

ისინი მხარდამხარ მიცურავდნენ, ერთმანეთს მხიარულად გადასძახოდნენ და ტბის თავზე, სუფთა ჰაერში მათი ხმა ზარივით წკრიალებდა.

გრიშა ზუბკოვი მკერდით მიაპობდა ტბის თბილ წყალს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე, რაც შეიძლება კარგად მოეთხრო მეგობრებისათვის ციმლიანსკის ზღვის ამბავი.

წინათ მისი თანამემამულე ტრამალების მცხოვრებნი შორეული გზებით ხანგრძლივად მგზავრობდნენ, რომ სანატრელი ზღვა დაენახათ... ეს ზღვა კი გრიშას თვალწინ დაიბადა, იგი დაემორჩილა ადამიანთა ნებას და თვითონვე მოვიდა მისი სახლის ფანჯრებთან, აავსო მისი ბავშვური სიზმრები ზღვაურის მომხიბვლელი ზმაურით, აფრების შრიალით... და აი, მას აქეთ, რაც მშობლიური სახლის კარიბჭესთან აშხაპუნდა ლურჯი, თვალეშუდენი ციმლიანსკის ზღვა, გრიშას მუდამ თან სდევდა მეზღვაურად გახდომის ამაღელვებელი ოცნება.

დიახ, ის იქნება სამხედრო მეზღვაური, პირველი კაბალთა მოდგმაში, პირველი თავისი ტრამალის ხუტორიდან... ასეც ეტყვის იგი თავის ახალ ამხანაგებს. დე, მათ იცოდნენ, თუ ტრამალელმა გადაწყვიტა, არაფრის გულისთვის უკან არ დაიხევს.

თარგმნა **გ. შატბერაშვილმა**

გაზაფხულდა, გაზაფხულდა!

აპრილი

ნაირ ფრინველთა ამალით
მოადგა მთა-ბარს აპრილი,
დახვდა მდინარე ზვიადი
რაშივით ფაფარაყრილი.

დაფარფატებენ პეპლები,
შრიალს უმატეს ყანებმა;
ტყემაც სიმღერით გამოსთქვა
თავისი აღფრთოვანება.

აქ ნაკადულმა დუმილს და
მყუდრო ძილს თავი ანება,
სძლია ყინულს და დუდუნით
ბარისკენ მოექანება.

ბაღში ხეხილმა იფეთქა
ფერად ვარდის და თოვლისა;
სამშობლოს დანატრებული
შორით მერცხლის ხმა მოისმა...

კეთილი იყოს, აპრილო,
შენი კვლავ შემობრძანება!
მაგ ჯადოსნური ფუნჯების
ფერი და ხატოვანება!

არნო ონელი

სიმღერა

ბაღში დაფრენენ პეპლები,
ხედავ შეირხნენ ტყემლები,
აყვავებულან ველები
და ცვივა თეთრი ყვავილი;
ეს აპრილია, აპრილი!

ეს აპრილია, აპრილი!
ია უღიმის მზეს ველად,
მოლს ფარავს ატმის ყვავილი,
თეთრად მორთულა ენძელა,
ვით თეთრ ჩოხაში ყმაწვილი!

სალამი მთებს და ჭალაკებს
და შავთვალება ყაყაჩოს,
სალამი ლომგულ ვაჟკაცებს,
თქვენ, ვინც ჩვენ რწმენას აკაჟებთ,
და დიდ სამშობლოს დარაჯობთ!

სალამი მალხაზ ბიჭუნებს,
ჩემი სალამი გაზაფხულს,
ოქროსნისკარტა ჩიტუნებს,
თითქოს და ყალმით დახატულთ;
სალამი ჩვენს დიდ გაზაფხულს.

შალვა ფორჩხიძე

ჩიტუნებო...

ჩიტუნებო ჩემთან გაჩნდით,
საითა ხართ, დამენახვეთ.
შემოფრინდით ჩემს ქალაქში,
გადმოევლეთ ბაღ-ვენახებს.

დიდ მინდვრებზე ზიმზიმებენ
იები და ზიზილები,
სიხარულში ვიძირებით
შორი გზისკენ ვიმზირებით.

ჩვენში მუდამ ზაფხულია,
როცა ახლოს მეგულებით,
— გული თქვენი ნატრულია,—
ჭიკჭიკებენ ბეღურები.

შეგხვედრიათ სხვაგან განა
ყვავილები დახატული,
გაზაფხულმა მოგიყვანათ,
თუ თქვენ მოგყავთ გაზაფხული!

მედეა კახიძე



ისინი ცხოვრობენ უკრაინაში

უკრაინა!

თქვენ იცნობი მას წიგნებით, კმაყოფილი უკრაინის შესახებ მამეზსა და უფროსი ძმებისგან, რომლებიც დიდ სამამული ომში იცავდნენ მას.

შორსაა უკრაინა საკარპატეთლოდან, მაგრამ თქვენთვის, ჭაბუნელი პიონერებისათვის, ძვირფასია მისი ლურჯი კარპატები და წყალუხვი დნეპრი, მისი თვალუწვდენი ტრამალები და ძველთაძველი ქალაქები, მისი წერაილი სამლერები და მელოდიები ენა.

გაბეზეთებიდან იგებთ, — როგორ შენდება ზერსონის სტეპებში ქალაქი ახალი კახოკეკა, ხოლო მის გვერდით კახოკეკის ეს სიმამაცეთ ზაპორიჟეთი მეფოლადეებმის, დონბასელთა მეშახტეებმის, პოლტაველი მაღალი მოსავლის ოსტატებმის წარმატებებს.

მაგრამ ყველაზე მეტად ქარაგეთ პიონერებს უკრაინელი ბავშვებს ბრა ცხოვრება გაინტერესებთ.

აი, ფოტოსურათებიც; ისინი უკრაინელი ბავშვების მრავალფეროვან ცხოვრებაზე მოგვითხრობენ.

სპინტერესო ეკსკურსია მოაწყო ჯალკ ლისანინსკის მეოთხე საშალო სკოლის მე-5 ჯგუფის პიონერორგანიზაციამ № 7 შახტში. ბავშვებმა დაათვალიერეს სამანქანო გაწყობილება, გიგეკენენ ნახშირის ამოღებისა და ვენტილაციის მოწყობილობას. მაგრამ მათთვის ყველაზე უფრო საინტერესო იყო შუხეფრა შახტის უფროსთან — სტაკანოვი პრემიის ლაურეატ ჰ. პოდკორეთან. (ფოტო № 1).

პოდკორეთმა უამბო ბავშვებს შახტებში მძიმე საშუშაოთა მექანიზაციისა და ახალი, შრომის შეგამსუბუქებელი მანქანების შესახებ, უამბო მათ თავიანი მოგზაურობის შესახებ პოლონეთში, რეზინგოსა და უნგრეთში.

დაკვირვებთ მომდევნო ფოტოსურათს (№ 2). ესაა რიგითი საბეჭთა ოჯახი. კიეველი რკინიგზელი ვიტალი რომანოს-ძე ბარაშენი, მისი მეუღლე და ბავშვები საუზნიენ შრომამდელის დაწყებამდე წამ. ეზრეთნი გოგონები ლიდეა და ირა მაღე სკოლაში წავლენ. ინსტიტუტში მიეჭ-ქარება უფროს ქალიშვილს — სვეტლანას. ბენნიერად და შეძლებულად ცხოვრობს რკინიგზელ ბარაშენის ოჯახი.

საბჭოთა ყველა ბავშვს აქვს სწავლის შესაძლებლობა. აი, ასეთ ნაბეჭდ კლასებში სწავლობენ უკრაინელ ბიშვთა და გოგონათ შვიდეული (ფოტო № 3). საბჭოთა მთავრობის დადგენილებით შვიდეულ ბოლოდ შვიდწლიანი, ხოლო ქალაქებ — ათწლიანი საყალდებულო სწავლება. მომავალი ხუთწლეულიდან საყალდებულო ათწლიანი სწავლებაა შემოღებულ იქნება სოფლადაც. საბჭოთა ქვეყანაში ყველა ბავშვი უნდა ალიბარდოს ერთ-ერთ ან განათლებულ ადამიანად — ასე დაადგინა საბჭოთა ეკონომიკურ კონტროლის პარტიის მე-19 ყრილობამ.

მშიაერელი, შინაარსიანი ცხოვრება სჩქეფს პიონერბანაკებში (ფოტო № 4). ერთ მილიონზე მეტია ბავშვმა დასვენეს ბასსეტ წელს უკრაინის პიონერბანაკებში. ტყეში, ზღვისპირი, ზესანშნავი ბანაკები. საბავშვო სანატორიუმები და ტურისტული ბაზები, — ყველაფერი უმეცარ ჭქეთ უკრაინელი პიონერიებს.

ფოტოსურათი № 5 გადაღებულია ცენტრალურ საბავშვო ავტობილოგიურ სადგურში. ზაფხულობით უკრაინის ყოველი კუთხიდან ეწვევიან ხოლმე ბავშვები ამ სადგურს. ისინი ისეეგნენენ ჭქვე გამარილულ ბანაკში და ამავე დროს ზრდიან ათასეგარ მეცნარეულობას, ფულიან საქონელს, ფეტკრის. ამკამად უკრაინაში სამიათასამდე ასეთი საბავშვო სადგურია შექმნილი.

დიდ სამალეულ მდებარეობს კარპატებში სოფელი ბოგდანი. ულამაზესია კარპატების ბეღნა. ბეგნიერად ცხოვრობენ ამ საბჭოთა ბავშვები. ამას ეწმან სოფელ ბოგდანის საშვილი სკოლაში გაიხსნა ბიბლიოთეკე, რომელშეც სამიათასამდე ტომი წიგნია (ფოტო № 6).

ვის არ ეუვარს სპორტი! უკრაინაში მოაეფდაა საბავშო სპორტული სკოლები და სტადიონები. თითქმის ყველა სკოლა ეწრიფეულეფილია სასპორტო დარბაზით. № 7 ფოტოსურათზე გადადებულია ბარკოვის ქალაქი მე-12 სკოლის მხატვრული ტანმარჯვიანის სექციის მეცადინეობა.

დიდი ხანი არაა, რაც კიევის პიონერ-მოსწავლეებმა ახალი შესანიშნავი სარეკანო მიიღეს. ესაა საბავშვო რკინიგზა (ფოტო № 8). სეფიანაზე: ფეფაქალაქის ნორჩი რკინიგზელები ზზრდილობიანად ეპატიჟებიან თავიანთ მეზობეგებს. ეგვიანია. საცაა გაისმის საყვირის ხმა და ნორჩი ბუმბენგნენ პატარა მატარებელს ადგილიდან დასძრავს.

შინაარსიანია ადარეთვე სუფთაო

მამია ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცე და ოცდამეერთე

მოთხრობა

დათა მიქელთაძე დაკვირვებით ადევნებდა შვილიშვილის ცხოვრებას თვალყურს. როცა ზაზას პირველად ახალი ტანსაცმელი შეამჩნია, მოხუცი გამოცოცხლდა. იგი დინჯად წამოდგა ტახტიდან და შავი მაუდის პალტოზე დაკერებულ ბრჭყვიალა ფოლაქებს თითები გადაუსვა; როგორც ეტყობოდა მოეწონა ისინი. შეიძლება თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა დათას. მაშინ თექვსმეტი წლის ბიჭმა ჩაიცვა ვერცხლისფერფოლაქებიანი მეეტლის ხალათი. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ ახლა მეეტლეები აღარ იზრდებოდნენ და შვილიშვილის ტანსაცმელი სხვანაირად ენიშნა.

— რკინიგზაზე ხომ არ მიგიღეს, ბიჭო?!

— არა, ბაბუ, საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში შევედი. ტანისამოსიც იქ დაგვირიგეს.

— ოჰო, — გაიკვირვა მოხუცმა, — უფასოდ მოგცეს?!

— კი, უფასოდ მომცეს. მხოლოდ კარგად უნდა ვისწავლო.

— სწავლით უნდა ისწავლო, — დაუდასტურა დათამ შვილიშვილს, — შრომა დაგჭირდება. უშრომლად ამ ქვეყანაზე კარგი არაფერი გაკეთებული.

მოხუცი ნელა დაბრუნდა უკან, თავის ტახტზე ჩამოჯდა, ჯიბი სასთუმლის კუთხეში მიაყუდა და წყნარად განაგრძო:— ცხოვრება, შრომის და სწავლის გარეშე, ბაბუა, წაბლის ბუჟგივით იჩხვლიტება. შრომა და განათლება ცხოვრების სიკეთეს გიჩვენებს, მის სიმდიდრეს გადმოგიშლის. ტკბილი და სურნელოვანი ნაყოფი, ბუჟგს რომ გადახეე, მერე მოჩანს შიგნიდან. თუ კი მას ალალი შრომით და ცოდნით მოიპოვებ, უხვად შეგერგება, ჩემო ბიჭიკო.

დათამ თავი მოაბრუნა და კედელზე უფროსი შვილის სურათს შეავლო თვალი.

ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟკაცი პირდაპირ უმზერდა მამას. დიდხანს უმზირა მოხუცმა ომში დაღუპული შვილის სურათს, დიდხანს. მერე თავი ისევ ზაზასკენ მოაბრუნა, თვალზე მომდგარი ცრემლი არ შეიმჩნია და შვილიშვილს უთხრა:

— ცოცხალი ჩამოსულიყო მამაშენი, კარგი იყო. ახლა რას იზამ, ბაბუ! მარტო ჩემი ოჯახის საძირკველს როდი მოუკაკუნა იმ დასაქცევმა ომმა მტრულად. ბევრს ერთი მხარე მოუმტვრია, ბევრს კიდევ სულ მთელი ფუძე მოუშალა. იმ, მეორე ბიჭს მაინც არაფერი დაემართებოდეს ცუდი და შენ კარგად მეყოლებოდეს!

დათას უმცროსი ვაჟი — ლევანი ავტოქარხნის საამწყობო საამქროს უფროსი იყო. ზაზა თავისი ბიძით ამაყობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მისი მამის ღვიძლი ძმა, ლევან მიქელთაძე, პირველი დახედავდა ავტომობილის სხვადასხვა ნაწილებს, ააწყობდა მას და სულს ჩაუდგამდა. ზაზას ფიქრით, მარტო ის რად ღირდა, ახლად აწყობილ მანქანას ბიძია ლევანი პირველი რომ შეავლებდა ხელს, პირველი რომ გასინჯავდა ძრავის სიმძლავრეს, მუხრუჭების სილაღეს, მანქანის სისწრაფეს და გამძლეობას. ამიტომ იყო, რომ ზაზამ დედის შემდეგ ბიძას გაუზხილა თავისი გულისნადები.

— კარგი გიფიქრია, ზაზა. ამთავითვე სწავლასთან ერთად წარმოებასაც შეეჩვევი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, — უთხრა ბიძამ.

ბაბუა დათა კი სხვანაირად უყურებდა ამ საქმეს. ავტომანქანა ჭირივით სძულდა მოხუცს. ამისი საბუთიც ჰქონდა. მეეტლეების ძველ უსტაბაშს ავტომანქანას რა შეაყვარებდა? დათას სწამდა, რომ ავტომანქანების გამრავლებამ ეტლების მაზანდა დასცა. მისი ცხოვრების გრძელ მანძილზე შეხვედრილი ამბებიც ამას ადასტურებდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო დათა მიქელთაძე, როცა ქალაქში ხმა გავარდა მდიდარმა ონანოვებმა ავტომობილი ჩამოიყვანესო. მეეტლეები აჩოჩქოლდნენ. ეტლების ბირჟა მაშინ სწორედ ბაღის კიდეზე იყო. ქარიშხალივით გაირბინა კოფოზე გადამჯდარი მეეტლეების მწკრივებში ამ უცნაურმა ახალმა ამბავმა.

ახალგაზრდა მეეტლე სამსონ ჭანტურია გულისწუხილით ჰყვებოდა თავისი თვალით ნახულ ამბავს.

— არც ცხენი უბია და არც აქლემი. მატარებელივით არც რკინიგზა სჭირდება. ისე გარბის ზოსაზე, თითქოს ალქაჯები ებას შიგ.

ბორბლები აქვსო? — იკითხა ვიღაცამ.

— ბორბლები კი აქვს, მაგრამ ისე მისრიალებს, ბრუნავს თუ არა ვერც კი გაიგებ. ულერძო უნდა იყოს.

— ულერძო არ იქნება, — თავი გააქნია ერთმა ჭარმაგმა კაცმა, — ალბათ, სხვანაირად აქვს მოწყობილი.

— ამბობენ, ძმები ჯაფარიძეები წასულან ახალი მანქანების ჩამოსაყვანად. ეტლების მაგივრად ისინი უნდა ამუშაონ ქალაქში.

ამ უკანასკნელმა სულმთლად თავზარი დასცა მეეტლეებს. ცოტა ხნით ყველას ენა ჩაუვარდა. ისინი გამოლენძნებული იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მათ დასაიმედებლად ვიღაცამ წყნარად თქვა:

— რამ შეგაშინათ, ჩამოიყვანონ, იმაში ჩაჯდომა მამასისხლად ეღირება!

ამ ნათქვამმა მართლაც ცოტა იმედი მისცათ.

მეორე დღეს დათა მიქელთაძე ბაღდათიხკენ წაიყვანეს მუშტრებმა. შემოდგომის წვრილი გამჟონავი წვიმა სცრიდა. საღორიის ტყეში გაჭრილი გზა სქელი ღრუბლებისა და შოსეზე გადმოწოლილი მუხების ჩრდილქვეშ უფრო ჩაბნელებული მოჩანდა.

მოულოდნელად წამოეწია ონანოვების მანქანა. დათამ მტრულად გადახედა მოქიშპეს და შუბლის ზეგოთ სისხლის მოწოლა იგრძნო. ავტომობილი უკანიდან გამოხტა და ისე ჩაიქროლა, თითქოს ზოსაზე მიქელთაძის ეტლი კი არა ახანთის ცარიელი კოლოფი ეგდო ტალახში. ყურადღებაც არ მიაქციეს დათას და მის ეტლს.

ცხენებმა ყურები სცქვიტეს და განზე გაიწიეს.

ამ სამგლეებს ჩვენზე უფრო შიში ჰქონიათო, გაიფიქრა ახალგაზრდა დათამ. ცხენებს მათრახი სწყვიტა და ალვირეზიც ისე ამოჰკრა ლაშებში, რომ კანკალი დაიწყებინათ. უცებ ბოლმა და ბრაზი ჩაუდგა ტანში. წინ მიმქროლავ მანქანას გახედა, ალვირები ხელში აიკაპიწა, დაიმოკლა და ცხენებს დასჭიოლა. ცხენებმა იგრძნეს, დათა აღარ ხუმრობდა. მწყურებივით გაიწიეს და ისეთი სისწრაფით გაქანდნენ, მუშტრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

შუა გზაზე წამოეწია დათა ონანოვებს. იგი ერთ ხანს ვეერდი-გვერდ მიყვებოდა მანქანას. ცხენებიც და მეეტლეც მხეცებივით უბრიალებდნენ მანქანას თვალებს. მანქანა ნელი თუხთუხით მისრიალებდა ზოსაზე. ერთი კიდევ დასჭიოლა და ონანოვები უკან მოიტოვა.



ერთი კიდევ დასტყივლა და ონანოვები უკან მოიტოვა.

ვარციხის ბორანთან შეაჩერა გასავათებული ცხენები. სანამ მებორნემ გაღმიდან ნავი მოაცურა, დათამ აკანკალებულ ცხენებს ყურები დაუქაჩა, მშრალი ჩვრით გავა და ბარძაყები გაუმშრალა. ჯერ კიდევ კოფოზე არ შემჯდარიყო, რომ მანქანა ქარიგით მოსხისინდა. არც დაღლა ეტყობოდა და არც ოფლი. დათამ ალმაცერად გადახედა და მიხვდა, რომ მისი ცხენები ამ „ოხრის გაკეთებულთან“ ვერაფერს გააწყობდნენ.

მანქანაში მსხდომნი ძირს ჩამოვიდნენ. გრძელ-გრძელ პაპიროსებს ეწეოდნენ ისინი. დათა ზიზღით უყურებდა მათ; მეტი ვერაფერი მოახერხა ბოღმის გადმოსანთხევად და თავის მუშტრებს ხმამაღლა უთხრა:

— რამხელა პაპიროსები გაურჭვიათ პირში ამ ოჯახქორებს, ძაღლებს მოიგერიებს კაცი.

მუშტრებმა ღიმილით და გაოცებით შეხედეს ახალგაზრდა მეეტლეს.

მოულოდნელად ავტომანქანის მძღოლმა სანაოზე შესვლის დროს საყვირი დააბღავლა... უჩვეული ცხენები დაფეთდნენ. ერთმა მათგანმა ნახტომი გააკეთა და სანაოს მიაშურა. ტყავის შუბმულობამ არ გაუშვა, უკან დაქაჩა და ცხენი უხერხულად ჩავარდა ბოგირსა და ნავებშუა. ოთხფეხმა კაცივით დაიგმინა, ცხვირიდან ღრუბელივით სქელი ორთქლი ამოუშვა და პატრონს სველი თვალებით შეხედა. ახალგაზრდა მეეტლე ერთი ნახტომით მივარდა მარჩენალს. გვიანი გამოდგა მისი სისწრაფე. ცხენს ფეხი მოსტეხოდა. ონანოვები წუნარად იდგნენ. ერთ მათგანს გაეცინა კიდეც.

დათას ცეცხლი ეკიდებოდა. თვალსა და ხელს შუა ნახევარი მისი ქონება დაიღუბა. ლუკმა ხელიდან გამოეცალა.

ორი წლის წინ მამამ მისი წილი მამული გაუყიდა, ეტლი და წყვილი ცხენი შეუძინა და შვილი დასახლებულად ჩათვალა... ჯერ თავნი არ ამოეღო ეს უბედურება რომ შეემთხვა ახალგაზრდა მეეტლეს. მას ეგონა, რომ ამ ცხენის ფეხის მოტეხით მისი ორი თვის ბიმს ყელში დასახრჩობად წაუჭირეს ხელი.

* * *

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრომ ბევრჯერ აამწვანა და შეათეთრა კავკასიონის კალთები. დათას გუნება კი არ გამოიცვალა. ცხოვრებას დაკვირვებულ კაცს არც ის გამოეპარა, რომ მანქანების გამრავლებამ ეტლებისაგან დაეცარიელა ქალაქის ქუჩები. ახლა მისი ხელობის ხალხი ზოგი ცხენურემზე გადაჯდა სამარცხვინოდ და ზოგმა სულ სხვა საქმე აირჩია თავის ხელობად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოხუცმა შვილის ავტოინჟინრობა გაიგო, სამი თვე უბრად იარა, სახლში არავის ხმა არ გასცა. ძლივსძლივობით შეირიგა დათა მეჭელთაძე შვილმა. ახლა ზაზას ავტოსკოლაში შესვლის საქმეს საიდუმლოდ ინახავდნენ.

* * *

შავთვალწარბა და გრუზათმიანი ზაზა მთელი სკოლის საყვარელი მოსწავლე იყო. მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. მისი წიგნები და რვეულები სისუფთავით განსხვავდებოდნენ, მისი მომზადებული გაკვეთილი ყველას სიხარულს გვრიდა. მასაც ყველა უყვარდა, ამხანაგებიც და მასწავლებლებიც. ყველაზე დიდი პატივისცემით ის მაინც ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს ვასილ ბოიკოს უყურებდა. ხუმრობა, ხომ არ იყო, მსოფლიოში განთქმული კაცი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ახლა ქუთაისის ახალგაზრდობის უსაყვარლესი ადამიანი იყო.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლეებმა არაერთხელ მოისმინეს კონსტრუქტორის შესახებ.

ისეთი კაციაო, ამბობდნენ მუშები, სულ ცინცხალი, უფიქრელი აზრები აქვს თავში. ბევრ საფაბრიკო სკოლის მოსწავლეს ჯერ კიდევ არ ენახა იგი. უზარმაზარი საამქროების თავზე, მეორე სართულზე, სამმართველოს ერთ კუთხეში მოთავსებულია კონსტრუქტორების ბიურო. ახალგაზრდა ინჟინერები სახაზავებით ხელში დაფებიგით ალმაცერად მდგარ მა-

გიდებზე აზუსტებენ დეტალებს. პირველად ზაზას ვასილ ბოიკო მოსუცი კაცი ეგონა. იგი ახლა გაოცებული უყურებდა ახალგაზრდა, წაბლისფერთმიან კაცს, რომელიც სინამდვილეში არც ისე ახალგაზრდა იყო, როგორც ეს მეეტლის შვილიშვილს ეჩვენა. იმ წუთს გაღებულ კარებიდან მისი კაბინეტი მოჩანდა. იგი ინჟინრებს რაღაცაზე ესაუბრებოდა. მისი მომაღლო შუბლი და ჩაფიქრებული თვალები უნებლიედ პატივისცემას აგრძნობინებდა ადამიანს.

„რა უბრალო კაცი ჩანს და ქვეყანა კი გააკვირვა," ფიქრობდა ზაზა. — იცით რა, — მიუბრუნდა იგი ამხანაგებს, — შევიდეთ და შევეხვეწოთ, საუბარი ჩაგვიტაროს მის მიერ შექმნილი მანქანების შესახებ.

— კი, როგორ არა, ამ წუთში გამოიქცევა და ორსაათიან მოხსენებას ჩაგიბუღბუღებს!

— ვითომ რატომ იტყვის უარს?!

— სად სცალია ბიჭო ჩვენთვის, ხომ არ გაგიჟდი?!

— მოიცლის, არ შეიძლება ავტომობილის კონსტრუქტორს ახალგაზრდობა არ უყვარდეს.

ზაზას აზრი გამართლდა. ვასილ ბოიკომ არა თუ უარი განაცხადა მოხსენებაზე, პირიქით, მოსწავლეებს დაუმმაკაცდა კიდეც.

გახსოვდეთო, — ეუბნებოდა იგი ახალგაზრდებს, — თქვენც უნდა იფიქროთ მანქანის ნაწილების გაუმჯობესებაზე; ახალგაზრდებს ბევრი ახალი რამ შეგიძლიათ შექმნათო.

* * *

ბაბუა დათამ სწორედ იმ დღეს გაიგო შვილიშვილის ხელობა, როცა ზაზამ სკოლა დაამთავრა და ქარხანაში დაიწყო

— ...შენც მანქანაზე დაგიწყია პორტყიალი!

მუშაობა. თექვსმეტი წლის ზაზა მიქელთაძე საამქროს მერიოლ თანრიგის ხარატი გახდა.

კვირა დღე იყო. ბაბუა დათა ივანაზე ფიქრობ-ტანჯულ იჯდა. შვილიშვილს პირქუშად შეხვდა მოხუცი.

— რა გიქნია, ბიჭო, ეს? შენც ბიძაშენის კვალზე გიდგია ენერგეტიკულ?!—ზაზამ პირველად ვერ გაიგო ბაბუას ჩივილი. შემდეგ კი, როცა ბაბუამ წაილაპარაკა: ჩემს სახლში ყველა ჩემი აზრის მტერი უნდა გახდეთო, მაშინ კი მიხვდა ყველაფერს.

— რატომ ფიქრობ, ბაბუა, ასე?!

— სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქრო, შენც მანქანაზე დაგიწყია პორტყიალი.

ზაზამ ალერსიანი თვალებით შეხედა ბაბუას. ამან კიდევ უფრო გააბრაზა მოხუცი.

— არ მომეკარო, მე მეგონა შენ სხვა სასარგებლო საქმეს მოკიდებდი ხელს, შენ კი ლევანის სულელურ აზრს აყვევ არა!

მოხუცმა აივნიდან ეზოში გადააფურთხა და თავის ოთახში გულმოსული შევიდა.

— იცოდე, კარგი არ დაგემართება. ის ეშმაკის მოგონილი მანქანა ჩემს ოჯახს ხეირს არ დააყრის, — ეს სიტყვები უკვე თავის ოთახში რომ შევიდა, მაშინ თქვა ბაბუა დათამ.

* * *

ვასილ ბოიკოს ცდამ თავისი შედეგი გამოიღო. ახლადკურსდამთავრებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ახალგაზრდობას ათასგვარი ახალი წინადადება შემოქონდა.

ზაზა მიქელთაძე თავის წინადადებას თითონვე დახაზავდა, თითონვე გამოახარატებდა და მანქანის ნაწილის ახალ ვარიანტს მზამზარეულს მიუტანდა ვასილს. განთქმულმა ინჟინერმა იცოდა, რომ ეს წინადადებები ჯერჯერობით დიდად სახარბიელო არ იყო. ერთი კი ცხადი იყო, სახარატო დანადგარი იმთავითვე დაიმორჩილა ზაზამ; რკინის ნაჭერს ისე თლიდა, თითქოს ჯიბის დანით ლეჩხუმური ვაშლს აცლიდა კანს. უბრალო რკინის ნაჭრებს მისთვის სასურველ ფორმას აძლევდა. ზაზამ იცოდა, — ამ შემთხვევაში სიზუსტე იყო საჭირო. ვასილი ყურადღებით ათვალიერებდა მის ნამუშევარს. გამოცდილი ინჟინერი ხედავდა, რომ ამ ჭაბუკში ის ნაპერწკალი ღვივოდა, რომელიც ხვალ-ზეგ სასარგებლო დიდ ცეცხლად იქცეოდა.

ერთ დღეს ზაზამ ბიძია ლევანის და ვასილი ბოიკოს ლაპარაკს მოჰკრა ყური; ლევანი ამბობდა:

— სიჩქარის კოლოფის საამქროში კბილანსატეხი ჩარხები კარგად ვერ მუშაობენ; ორი ჩარხი ერთ საქმეს ასრულებს და მაინც ვერ ასწრებენ დავალების შესრულებას.

ვასილ ბოიკომ დინჯად მოუსმინა საამქროს უფროსს, ჩაფიქრდა, პასუხი კი არ მისცა. ეს საუბარი ჩარჩა ზაზას მეხსიერებაში. ამის შემდეგ ჭაბუკი მთელი ერთი კვირა არ მოშორებია კბილანსატეხი ჩარხების მუშაობას.

— რას ჩაცივდით, ბიჭო, ამ ჩარხებს, არაფერი გაუტეხო, — უთხრა ერთხელ ოსტატმა.

— არა, ოსტატო, საქმე მაქვს, ცოტა მაცალე, იქნებ რაიმე გამოვიდეს.

* * *

სამუშაო დღე მთავრდებოდა.

ვასილ ბოიკო ჩაფიქრებული ხაზავდა. კარები გაიღო და კაბინეტში ზაზა შევიდა.

კონსტრუქტორმა ნელა აიღო თავი. ჭაბუკი აღელვებული ჩანდა.

— რამ შეგაწუხა, ზაზა?! — გაკვირვებით შეეკითხა ბოიკო.

— პატივცემულო ვასილ თედორეს-ძევ, მე კბილანსატეხი ჩარხების შესახებ მოვედი. აი, ნახეთ.

ზაზამ სუფთა ტილოში გამოხვეული ნივთი გაუწოდა ბოიკოს. ვასილმა გამოხსნა იგი. მოდელი აღმოჩნდა. მან იგი იქვე მაგიდაზე დადგა და თვალიერება დაუწყო. დიდხანს ატრიალა იგი მან, დიდხანს, ცნობისმოყვარეობა თანდათან გაუცხოველდა, ნაწილებს დაუკვირდა, შუბლი თანდათან გაეხსნა.

— ესე იგი, შენ ორი ჩარხი გინდა ერთით შეცვალო და პროდუქციაც მეტი მისცე არა?! ხომ ასეა?!

ზაზა გაჩუმებული იდგა.

— რას გაჩუმებულხარ?!

ზაზამ ვერაფერი თქვა. კონსტრუქტორი ახლა პირდაპირ მისკენ შემობრუნდა, თვალებში ჩახედა და ღიმილით თქვა:

— ვერ არის კარგი, შენს ნაწარმოებს რომ ვერ იცავ. ნახაზები თან გაქვს? აქ მომეცი! — კონსტრუქტორმა მილად დახვეული ქაღალდი გამოართვა, მერე ხელები გაშალა, ზაზას ბეჭებზე მოეხვია და განაგრძო.

— კარგი ბიჭი ხარ. ნამდვილად კარგი კაცი დადგები. მოდელი დამიტოვე, დავთვალიერებ, კიდევ გავსინჯავ, ხვალ გამოიარე. როგორც ჩანს, სერიოზული საქმე გაგიკეთებია.

ზაზა ოთახიდან ნელა გამოვიდა, მაგრამ კარები მოიხურა თუ არა, თავის კანში ვეღარ ჩაეტია. მხრებზე თითქოს ფრთები გამოესხა. სირბილი მოუნდა. ეზოში ჩამოირბინა, ცასა და მიწას გახედა. ბრწყინვალე დარი იდგა. ახლად დარგული ყლორტი და ლატანი ხეები ისე იხრებოდნენ, თითქოს მზის სხივებში ბანაობენო. გელათის და გოდოგანის ზურმუხტისფერი მაღლობები ამ ნათელ ელვარებაში ჩაძირულიყვნენ. ქალაქის ამ მხრიდან მწვანე ქედების ყველაზე მაღალი გორაკი — „ბროლიქედი“ — საახალწლო ნაძვის ხესავით მოჩანდა. ზაზამ იცოდა, რომ მისი კალთების ქვემოთ, წყალწითელას მორევებში ახლა ტოლი ბიჭები ბანაობდნენ. იქ წასვლა მოუნდა ზაზას.

ერთი გავგრილდები, ბიჭებსაც ვნახავო, გაიფიქრა მან. იგი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ქარხნის ჭიშკრისკენ. მზე, კორპუსების თეთრად აზიდულ ფიქალ კედლებს ხვდებოდა, მოასფალტებულ საცალფეხო გზას აცხუნებდა და სულის-შემხუთველ ბუღს აყენებდა. მტვერმოყრილი ასფალტი დუღდა, ფეხის ნაკვალევი ანნდებოდა.

„ბაბუას ეზოში უფრო სიგრილე იქნება, ალბათ,—იფიქრა ახლა ჭაბუკმა, — ლევან ბიძიას აბაზანაში ვიბანავებ. მერე ნიგვზის ჩრდილში წამოვწვები. ცოტას წავიძინებ კიდეც“. უკანასკნელ დღეებში ფიქრმა და მუშაობამ მოღალა ზაზა. „არა, ბაბუასთან წავალ,“ მტკიცედ გადაწყვიტა მან და ტროლეიბუსის კარებში შეაბიჯა.

* * *

ბაბუა დათა აივანზე იჯდა.

— ხვალ ხომ დასვენება გაქვს, ბიჭო, — იკითხა მოხუცმა. ჭაბუკი მიხვდა, დათა ბაბუა რაღაცას ავალებდა მას.

— კი, ბაბუა, საქმე გაქვს თუ?!

— სოფელში მინდა წახვიდე, კარგი სოფელია, ჩვენი გვარის საბუდარია.

— საბუდარი კი არა, ნაბუდარია!

— ვინღა დარჩება, ყველას ინუინრობა და ექიმობა გინდათ! მაინც ბევრნი არიან. მარტო ჩემი ძმის, ალმასხანის მოდგმა ცამეტი სულია. ეჰ, ისიც მოხუცდა. ჩემზე რვა წლით უმცროსია და მაინც მოხუცდა.

— კარგი, ბაბუ, წავალ, რას დამბარებ?

ზაზამ სუფთა ტილოში გამოხვეული ნივთი გაუწოდა ბოიკოს.

— ალმასხანი ჩამომიყვანე, მომენატრა.

— ბაბუა ალმასხანი?

— ჰო, რას გაგიკვირდა. ძმა მომენატრა სხვა ხომ არა!

— კარგი, წავალ ბაბუ, წავალ.

* * *

კავკასიონის მთების სამხრეთის ფერდობზე პატარა სოფელი მდნარე სულორის პირზე გაშენებიაო. წინათ მწირი მიწები უსარგებლოდ იყვნენ მოტიტვლებული. მხოლოდ იელის და გვიმრის გაუფალი ბუჩქნარები ხარობდნენ აქ. ახლა ჩაის მწვანე ბუჩქები მწკრივად იმზირებოდნენ მისი ფერდობებიდან. ამ სოფლელებს ყავრის ხდით ხელის გულები ქონდათ დახეთქილი. ამ ფულით საპონსა და ნავთს ძლივს იმარაგებდნენ სოფლელები. ახლა ჩაის ბუჩქების ყლორტებმა ახალ-ახალი ოდასახლები გაამრავლა სოფელში.

ალმასხანის სახლი მაღალ ფერდობზე იყო წამომდგარი. სოფლის საბჭოდან მის სახლამდე სამი კილომეტრი იყო. „ავტოტრანსის“ სამგზავრო მანქანა საბჭოსთან ჩერდებოდა. აქედან ვიწრო გზა იწყებოდა. ზაზა ფეხით წავიდა იქითკენ.

ალმასხანის კაცმრავალი ოჯახი სიყვარულით მიეგება ზაზას.

ვახშამმა დიდხანს გასტანა. დათა მოიკითხეს, ლევანის ამბები გაიგეს და სტუმარი გვიან დაწვინეს.

ღამით მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. ნაშუალამევს ზაზა მოულოდნელმა მუცლის ტკივილმა გამოაღვიძა.

ნაწლავებში თითქოს ხანჯალი გაეყაროს ვინმეს, ისე გაუარა რაღაცამ. გულ-ღვიძლში ანთება შემოეკიდა. საშინელმა კრუნჩხვამ აიტანა.

მასპინძლები შეშინდნენ.

ალმასხანის უმცროსმა ბიჭმა ექიმი სწრაფად ამოიყვანა. მთელი ოჯახი სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა ექიმს. მან დაკვირვებით გასინჯა ზაზა და დაფიქრებით თქვა.

— ორში ერთი, ან ნაწლავების გადასკვნაა, ან კუჭის გახვრეტას აქვს ადგილი.

ალმასსან მიქელთაძე არ დაიბნა. მოხუცი საბჭოში ძუნძულით ჩავიდა და ტელეფონით ლევანი გამოიძახა. ლევანი სახლში იყო. ტელეფონის უდროო დროს დარეკვამ დათაც გამოაღვიძა. როცა ზაზას სახელი გაიგონა, მოხუცი გაფითრებული წამოდგა ლოგინიდან.

რა ამბავია ჩვენს თავსო, იკითხა დათამ. ლევანი დაიბნა. არ იცოდა რა ეთქვათ მამისათვის. მოხუცი მიხვდა, რომ შვილიშვილს უბედურება შეემთხვა.

— რას იღუმები, თქვი, ხომ მაინც გავიგებ!

დათას იმ წუთს მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდა — ალბათ, მანქანა გადაბრუნდა იმ ღრანტეებზე და ბიჭიც დამეღუპაო.

ფერადაკარგულმა ლევანმა მამას ვერ დაუმალა სინამდვილე.

— მე ახლავე მანქანით უნდა წავიდე, წელების გადასაკვნა აქვს მგონი. ყველაფერი ავტომანქანის სისწრაფეზეა დამოკიდებული.

დათა მიქელთაძეს თითქო ქვა დაკრეს თავში.

— ვაი ჩემს უბედურ თავს, რაღა მეშველება, ისევ მანქანაზეა ჩემი ოჯახის ბედი დამოკიდებული, — ისე დაიბღავლა მოხუცმა, რომ მთელი სახლი შესძრა.

* * *

მთელი ღამე ძილი არ მიკარებია დათას. იჯდა მოხუცი თავის აივანზე და სივრცეს უაზროდ გაჰყურებდა. ლევანი არსად ჩანდა.

— ვაი, თუ მანქანა გზაზე გაუჩერდათ და დროზე ვერ მიასწრეს!

თენდებოდა. ცაზე ვარსკვლავებმა ფერი დაკარგეს. ეზოში, ნიგვზის რტოებში დაკიდებული სანათური მკრთალ ვერცხლისფერ სინათლეს აფრქვევდა. ამ შეთეთრებულ ცის გუმბათქვეშ დათა მიქელთაძის სახე უფრო თეთრად მოჩანდა. ქამრამდე დაფენილი თეთრი წვერი კიდევ მეტ ელვარებას უმატებდა მის სახეს. ლაფაროში დარჩენილ ნაწვიმარ გუბეში ვარსკვლავები კანკალებდნენ. უცებ ჭიშკარი გაიღო, ლევანმა მანქანა შემოატრიალა ეზოში, იგი დაღლილი სახით გადმოვიდა მანქანიდან და მამას შეხედა. დათა ერთი ღამის მანძილზე სულ მთლად დაბერებულიყო. გაყვითლებულს ხელები უკანკალებდა.

მოხუცი ბრაზით წაიწია შვილისაკენ.

— შენ ის მითხარი, ბიჭი ცოცხალია თუ არა?

— გადარჩა. პირდაპირ საავადმყოფოში მივიყვანე, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მანქანა რომ არ გვყოლოდა [illegible] პბოდით.. ზაზას სიცოცხლე მანქანის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული.

მოხუცს გულზე მოეშვა.

იგი ნელა ჩამოჯდა ტახტზე. წვერზე აკანკალებული ხელი გადაისვა და წყნარად გახედა ლევანის ავტომანქანას. მისი სიცოცხლის მანძილზე პირველად შეხედა დათა მიქელთაძემ მანქანას კეთილი თვალით.

* * *

ორი კვირაა, რაც ზაზა საავადმყოფოდან გამოიყვანეს. ბიჭი დღითი დღე ღონეს იკრებდა. დათა მიქელთაძე ახლა უკვირდებოდა შვილიშვილს. მამის ბეჭები უჩანდა, მამისავე სახის ნაკვეთები. დათას ხანდახან ეჩვენებოდა, რომ შვილიშვილს კი არა, შვილს უყურებდა თვალებში. ძველ თავლაში ლევანის მსუბუქი მანქანა იდგა. მოხუცი ღამით, სხვების ნამალვად გაალებდა ძველი თავლის კარებს. ახლა ცხენები აღარ ჭიხვინებდნენ იქ. არც მათი ლაგამის ხრამუნი ისმოდა. იდგა მანქანა წყნარად, ბროლის ფარები უელავდა. ძველი მეეტლე სიყვარულით დამყურებდა შვილიშვილის გადამრჩენელს. ახლა იცოდა დათა მიქელთაძემ, რომ ონანოვების მანქანა ონანოვებს ემსახურებოდა, ეს მანქანა კი მიქელთაძეების ოჯახს. მრავალ ჭირში გავლილი კაცი ცას და მიწას ახლა უბოროტო თვალით უყურებდა. იმან იცოდა, რომ მისი შვილი და შვილიშვილი მანქანებს აკეთებდნენ მამულისთვის, ადამიანებისათვის. გუშინ მის სახლს ვასილ ბოიკო ეწვია. მოხუცი ყურადღებით ათვალიერებდა საბჭოთა მანქანების დიდ კონსტრუქტორს.

ბოიკომ პატივისცემით ჩამოართვა დათას ხელი და მიულოცა—შენი შვილიშვილის წინადადებამ გაიმარჯვა, ათეული ათასი მანეთის მოგებას მისცემს ქარხანასო. ზაზა ნიჭიერი ბიჭია, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. ქარხანაში გადაწყვიტეს უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე გაგზავნონ. მალე საქვეყნო კაცი გახდებაო.

იდგა დათა ახლა შვილის მსუბუქი მანქანის წინ და დაკვირვებით უყურებდა მას. მზე მის ეზო-გარემოს ანათებდა; მოხუცი ნათლად უყურებდა ამ ბედნიერ ქვეყანას.

იაპონური ხალხური ზღაპრები

ბალახი მიოგა



მოხეტიალე ვაჭარი ღამის გასათევად სოფლის სასტუმროში შევიდა, საქონლის ფუთა იატაკზე დადო და დიასახლისს ვახშმის მომზადება სთხოვა.

ვაჭარს ერთობ ცოტა, სულ რამდენიმე გროშად ღირებული, საქონელი ჰქონდა, მაგრამ ხარბმა დიასახლისმა იფიქრა: „კარგი იქნება, მისი ფუთა ხელთ ვიგდოო!"

სანამ ვახშამს ამზადებდა, ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს ქმარს უთხრა:

— ჩვენსას მოხეტიალე ვაჭარი მოვიდა. კარგი იქნებოდა ხელში ჩაგვეგდო მისი საქონლის ფუთა!

— ამაზე იოლი არაფერია, — უპასუხა ქმარმა, — ვაჭრის ვახშამში ბალახი მიოგა შეაპარე და უეჭველად რამე დაავიწყდება! და რა უნდა დაავიწყდეს მოხეტიალე ვაჭარს, თუ არა თავისი საქონელი?

დიასახლისი ასეც მოიქცა: დაკრიფა ბალახი მიოგა და სტუმრის საჭმელში შეაპარა. ვაჭარმა ივახშმა, დიასახლისს მადლობა მოახსენა და დასაძინებლად თავის ოთახში გავიდა.

მეორე დღეს დილაადრიან ვაჭარმა სასტუმრო დატოვა, დიასახლისი კი გაღვიძებისთანავე გაიქცა მის ოთახში, რათა საქონლის ფუთა ენახა. მაგრამ ოთახში ფუთა არ აღმოჩნდა.

— ახ, შე სულელო! — დაუწყო მან ქმარს ლანძღვა. — რაებს არ როშავდი მაგ ბალახ მიოგას შესახებ! ვაჭარს კი ფიქრადაც არ მოსვლია თავისი საქონლის ფუთას დავიწყება!

— მერე რა მოხდა, თუ მას თავისი საქონელი არ დაავიწყდა, ჩანს სხვა რამე დაავიწყდა.—გულდაჯერებით უპასუხა ქმარმა.

— არაფერიც არ დავიწყებია!—მიახალა მას დიასახლისმა.

— ყოვლად შეუძლებელია! — გაბრაზდა ქმარი.—კარგად მოიგონე.

დიასახლისი შეუდგა მოგონებას, თუ რა შეიძლებოდა დავიწყებოდა ვაჭარს. უცებ მან თავში ხელი შემოიკრა და დაიყვირა:

— დაავიწყდა! დაავიწყდა!

— ხომ ხედავ, — მხიარულად უთხრა ქმარმა,—აკი გეუბნებოდი! რა დაავიწყდა?

— გადახდა დაავიწყდა, ღამის გასათევი ქირის გადახდა, შე გამოჩერჩეტებულო ბებერო!—ბოლმით უპასუხა ცოლმა.

სამართლიანი ბრძენი

ერთმა მდიდარმა როგორღაც საფულე დაჰკარგა, რომელშიც 200 იენი* იყო. გზადმიმავალმა ღარიბმა საფულე იპოვა და მოსამართლეს მიუტანა. რამდენიმე დღის შემდეგ მოსამართლესთან მდიდარი მივიდა და თავისი საფულე მოჰკითხა.

— ესაა?—ჰკითხა მოსამართლემ და მისი საფულე უჩვენა.

— დიახ, დიახ, სწორედ ესაა,—დაუდასტურა მდიდარმა და ხელი საფულესაკენ წაიღო.

— არა, შენ ჯერ მოითმინე, საფულეს ჩაჯიბვას მოასწრებ,—უთხრა მოსამართლემ. — თავდაპირველად მადლობა უნდა მოახსენო მპოვნელს.

მდიდარი ფიქრობდა, რომ ღარიბი მადლობის თქმად არ ღირდა. მან გადაწყვიტა მასხარად აეგდო ის და ფულის დასათვლელად საფულეში ხელი ჩაყო.

— აქ მხოლოდ 200 იენია,—თქვა მდიდარმა,— ჩემ საფულეში კი 220 იენი იყო. ამ კაცს ჩემთვის 20 იენი მოუპარავს.

— არა, ეს სიმართლე არ არის,—თქვა ღარიბმა,—იქ მხოლოდ 200 იენი იყო. მე სხვისი ფული არ წამიღია.

— ტყუის,—თქვა მდიდარმა,—მე ვამტკიცებ, რომ აქ 220 იენი იყო.

ასე დაობდნენ ისინი და ვერ შესძლეს შეთანხმება. მაშინ მოსამართლემ წინადადება მისცა, ბრძენთან წასულიყვნენ.

ბრძენმა სამივეს მოუსმინა, მერე მდიდარს მოუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ დაჰკარგე საფულე, რომელშიც იყო 220 იენი?

— დიახ,—უპასუხა მდიდარმა.

— რადგან ამ საფულეში 200 იენია, ჩანს, ეს არ არის შენი საფულე,—უთხრა ბრძენმა,—ეს უთუოდ სხვა ვინმემ დაჰკარგა, ხოლო რადგანაც პატრონი არ გამოჩნდა, მას მპოვნელს მივცემთ. შენ კი მოძებნე შენი საფულე, რომელშიც 220 იენია.

თარგმნა პ. ბებიამ

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

---

* იენი —იაპონური ფულის ერთეულია.

ჩვენი დროის გამოჩენილი მწერალი

ლეო ქიაჩელი (ლეონ მიხეილის-ძე შენგელაია) ქართული საბჭოთა მწერლობის მშვენება, მისი სიამაყეა. იგი სამართლიანად სარგებლობს უდიდესი პოპულარობითა და საყოველთაო სიყვარულით. მწერალმა მკითხველის გული დაიპყრო ცხოვრების ღრმა ცოდნით, სინამდვილის ცოცხალი, მიმზიდველი, დამაჯერებელი თხრობის უნარით. ლეო ქიაჩელი ხატვის იშვიათი ოსტატია. მისი კალამი გასაოცარი ძალით ხატავს ადამიანთა ინდივიდუალურ ხასიათებს, სულს უდგამს ბუნებას და გვიხიბლავს მისი მშვენიერებით.

ლეო ქიაჩელი შემოქმედებითი სტილით რეალისტია. თავისი მთავარი ნაწარმოებებით მან განავითარა გასული საუკუნის მხატვრული სიტყვის დიდოსტატების ბრწყინვალე ტრადიციები და სოციალისტურ რეალიზმამდე ამაღლება; გახდა ამ სტილის ყველაზე უფრო მკაფიო და სრულყოფილი გამომხატველი ქართულ საბჭოთა პროზაში.

ლეო ქიაჩელმა ცხოვრების ვრცელი და რთული გზა გაიარა. იგი დაიბადა 1884 წლის 20 თებერვალს, სოფელ ობეკში, ახლანდელ წალენჯიხის რაიონში. პატარა ლეომ წერა-კითხვა ადრე შეისწავლა და ბავშვობიდანვე სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა. მშობლებმა შვილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. აქ ახალგაზრდა ლეო ცოდნას დაეწაფა, მოწაფეობა მოსწავლეებთან ერთად გატაცებით შეუდგა დამოუკიდებელ კითხვას, გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს ისტორიას და მშობლიურ ლიტერატურას. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე — ლეო ქიაჩელი უახლოვდება რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს და აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობას იღებს მოწაფეთა პოლიტიკურ გაფიცვებში.

1904 წელს ლეო ქიაჩელმა გიმნაზია დაამთავრა, ხარკოვს გაემგზავრა და იქ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ხარკოვში ყოფნისას ლეო ქიაჩელი კავშირს არ სწყვეტს სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან, ხოლო 1905 წელს, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, როცა ხარკოვის უნივერსიტეტში მეცადინეობა დროებით შეწყდა, ქიაჩელი სამშობლოში ჩამოდის. აქ იმ დროს ყველგან აჯანყებათა ცეცხლი გიზგიზებდა; ქიაჩელი სამეგრელოს მებრძოლ გლეხებს ამოუდგა გვერდში და აქტიური მონაწილეობა მიიღო თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობაში. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის გამო ლეო ქიაჩელი 1906 წელს მეფის მთავრობამ დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში მოთავსება. დაიწყო რეაქციის მრისხანე დღეები, ქუთაისის ციხეში მოთავსებულ რევოლუციონერებს სასტიკი სასჯელი მოელოდათ. სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გადაერჩინა ამხანაგები. 1907 წელს ციხეში გარედან გვირაბი გაყვანეს და დიდი უმრავლესობა პატიმრებისა გაათავისუფლეს. გათავისუფლებულთა შორის იყო ლეო ქიაჩელიც, რომელიც მაშინვე მოსკოვს გაემგზავრა და 1912 წლამდე იქ არალეგალურად ცხოვრობდა.

მოსკოვში ყოფნისას ლეო ქიაჩელი განსაკუთრებით ინტერესდება ლიტერატურული ცხოვრებით, და შემოქმედებითს მუშაობას იწყებს. წერს პატარ-პატარა მოთხრობებს. პირველი მისი მოთხრობა, ,,წარსული აწმყოში'', ლ. მიხაშის ფსევდონიმით დაიბეჭდა 1909 წელს თბილისის გაზეთში ,,ჩვენი აზრი''.

1912 წელს ლეო ქიაჩელი მოსკოვიდან შვეიცარიაში მიდის, ეწყობა ჟენევის უნივერსიტეტში და აწარმოებს ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას. მწერლის მცირე ფორმის მოთხრობებმა თავიდანვე მიიქციეს საზოგადოებრივი ყურადღება. ამ მოთხრობებში ნათლად ჩანდა ავტორის მხატვრული ნიჭი, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვების უნარი. ახალგაზრდა მწერალზე დიდ იმედს ამყარებდნენ, მაგრამ მისმა პირველმა რომანმა ,,ტარიელ გოლუამ'', რომელიც 1916 წელს ,,სახალხო გაზეთმა'' გამოაქვეყნა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მთლიანად მოხიბლა მკითხველი საზოგადოება. ეს იყო პირველი ვრცელი ნაწარმოები ჩვენი ხალხის მღელვარე ცხოვრებაზე. მასში ლეო ქიაჩელმა იშვიათი მხატვრული ოსტატობითა და სიმართლით დახატა პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ აბეჯერებული მშრომელი მასების განწყობილება, მათი შეუპოვარი ნებისყოფა და გაუტეხელი ენერგია. მწერალმა გვიჩვენა, თუ როგორ სტიქიურად იღვიძებდა ტანჯვა-წამებით გატეხილ კლეტში თავისი ადამიანური უფლებების დაცვისათვის ბრძოლის სულისკვეთება და როგორ ებმებოდა იგი თანდათან აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში, ხდებოდა პროლეტარიატის საიმედო მოკავშირე რევოლუციაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლეო ქიაჩელი

ქენევიდან სამშობლოში ბრუნდება. მეოცეოკების ბატონობის მთელ პერიოდში მას მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია. ლეო ქიაჩელის მხატვრული ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობა მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიფურჩქნა. ჩვენს დიად ეპოქაში შექმნა მან მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ქმნილებები, რომლებიც შევიდა ქართული მხატვრული მწერლობის ოქროს ფონდში.

1927 წელს ლეო ქიაჩელმა გამოაქვეყნა რომანი „სისხლი", რომელიც „ტარიელ გოლუას" ერთგვარ თემატიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ რომანში მწერალი ხატავს რევოლუციური მოძრაობის და პოლიტიკური ბრძოლის სურათებს რეაქციის წლებში. რამდენიმე წლის შემდეგ ლეო ქიაჩელი წერს მოთხრობას „ჰაკი-აძბა", რომელიც ეხება სამოქალაქო ომის თემას. მასში დიდი მხატვრული ოსტატობით არის ასახული სამოქალაქო ომის რევოლუციური რომანტიკა. დაახლოვებით ამავე პერიოდში წერს მოთხრობას „ჯიუტი". ამ პატარა მოთხრობაში მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის მხატვრული რეალიზმის ძალა, ცხოვრების შესანიშნავი ცოდნა და სინამდვილის დიდი უშუალობით ასახვის უნარი. მოთხრობაში ვხედავთ იმ ღრმა ფსიქოლოგიურ ძვრებს, რომელიც გამოიწვია კერძო მესაკუთრე გლეხის სულიერ სამყაროში საკოლმეურნეო ცხოვრების განვითარებამ, მისმა მძლავრმა აღმავლობამ. მალე ამ თემას ლეო ქიაჩელმა ვრცელი ნაწარმოებები უძღვნა. 1937 წელს დაწერილი მისი რომანი „გვადი ბიგვა" ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ ეტაპზე მთელ საბჭოთა ლიტერატურაში. ამ რომანმა ფართო მოწონება დაიმსახურა საბჭოთა მკითხველში.

„გვადი ბიგვაში" ლეო ქიაჩელის მხატვრულმა სტილმა შემდგომ თვისობრივ განვითარებას მიაღწია. მწერალი ქართული საბჭოთა პროზის ოსტატთა შორის სოციალისტური რეალიზმის ყველაზე მკაფიო და დასრულებული წარმომადგენელი შეიქნა. იგი არა მარტო ისტორიულ წარსულს, თანამედროვეობასაც გასაოცარი სიღრმითა და მხატვრული სიმართლით ასახავს.

ლეო ქიაჩელი — ნახ. ალ. ბანძელაძისა

ლეო ქიაჩელი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მწერალია. იგი მუდამ ცხოვლად ეხმაურება დროის აქტუალურ მოვლენებს. ჩვენი ხალხის ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი მწერალს აუსახველი არ დარჩენია. ქართველი მწერლებიდან მან პირველმა შექმნა დიდი სამამულო ომის თემაზე ფართო მხატვრული ტილო „მთის კაცი". ამ რომანში მწერალმა დაგვიხატა საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის უსაზღვრო თავდადება და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა-საფუძველი — ხალხთა ლენინურ - სტალინური მეგობრობა.

ლეო ქიაჩელი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მწერლობაშიც. მან შექმნა მთელი რიგი საბავშვო მოთხრობებისა, ნორჩი მკითხველის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს: „ჭინკა — ბიჭი", „ნათელა ოთხი", „თიხის მონადირე", „ხეთიანის საიდუმლო" და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი ვრცელი მოთხრობა „დათუნა", რომელშიც ასახულია ჩვენი ბედნიერი ბავშვების ცხოვრება, პიონერთა ხალისიანი შრომა. ლეო ქიაჩელის „დათუნა" ქართული საბავშვო მწერლობის მოვლენაა, მის ოქროს ფონდში შედის და საერთოდ ამდიდრებს ქართულ საბჭოთა პროზას.

ლეო ქიაჩელი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეა. მოხუცებულობის მიუხედავად იგი ენერგიულ მონაწილეობას იღებს მწერალთა კავშირის ცხოვრებაში, დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით ეკიდება მწერლობის ახალგაზრდა კადრებს, ხელს უწყობს მათს შემოქმედებითს ზრდასა და დაწინაურებას.

ლეო ქიაჩელის ღვაწლი თავისი ხალხის წინაშე დიდად დააფასა საბჭოთა მთავრობამ, იგი არის სტალინური პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებულია ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ერ. ქორელიფეილი

პიონერთა სასახლის სიმფონიური ორკესტრი

რამდენიმე წლის წინათ, თბილისის მუსიკალური სასწავლებლების გაერთიანებული ორკესტრის რეპეტიციაზე მოდა ასეთი ამბავი: დირიჟორი იგვიანებდა, „ალბათ ავად გახდა", ფიქრობდნენ ახალგაზრდა მუსიკოსები და რჩევის საკითხავად უკვე „დელეგატის" გაგზავნას აპირებდნენ სამასწავლებლოში, რომ უეცრად დირიჟორის პულტთან ერთ-ერთი მათი ამხანაგი დადგა, პარტიტურა გაშალა და ღიმილით წარმოთქვა:

— მე ჩავატარებ რეპეტიციას, ამხანაგებო!

მოსწავლეებს გაეღიმათ — დირიჟორობას აპირებდა კლარნეტზე დამკვრელი — მაგრამ თვითონაც ხუმრობის გუნებაზე დადგნენ. და „რეპეტიცია" დაიწყო. რასაკვირველია, ახალგაზრდა მუსიკოსები ხუმრობით უჯერებდნენ „დირიჟორის" შენიშვნებს, ხუმრობით აყოლებდნენ თვალს მისი ხელის მოძრაობას, მაგრამ „დირიჟორი" ამ წუთში სერიოზულად ფიქრობდა თავის მომავალზე, ფიქრობდა იმაზე, რომ ეს ხუმრობა სინამდვილედ ექცია.

დღეს კი ყოფილი კლარნეტისტი და მოსკოვის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტის ყოფილი ასპირანტი — ზაქარია ხუროძე საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და თბილისის ოპერის ერთ-ერთი წამყვანი დირიჟორია. ოცნება იქცა სინამდვილედ.

რეპეტიციები და კონცერტები, პარტიტურებზე მუშაობა, ლექცია — კონცერტის ჩატარება, სპექტაკლები ოპერაში. აი, ასეთია დირიჟორის სამუშაო კვირა. მაგრამ არსად ისეთი სიხარულით არ მიისწრაფვის დირიჟორი ზ. ხუროძე, როგორც თბილისის პიონერთა სასახლის სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებზე. ბავშვებთან ძნელია მუშაობა. ამავე დროს საინტერესოც არი. აქ უნდა გამოამჟღავნოს დირიჟორმა მთელი თავისი შესაძლებლობა, ენერგი, ნიჭი, ისე ვერაფერს ვერ მიაღწევს. მიღწევებით კი უკვე ამაყობენ ნორჩი მუსიკოსები. გასული წლის ნოემბერში კონცერტები გამართა პიონერთა ორკესტრმა. მოსკოვის რადიოკომიტეტის წარმომადგენლებმა მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერეს მათ მიერ შესრულებული ა. ბალანჩივაძის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი. მოსკოვმა ჩანაწერი ჯერ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის გადასცა, მერე კი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მსმენელთათვის. მსოფლიო უსმენდა პატარა მუსიკოსებს, რომლებიც ორი წლის წინათ პირველად შეიკრიბნენ ერთ კოლექტივში. მაშინ მათ პირველად იგრძნეს, თუ რა დიდი განსხვავება იყო ინდივიდუალურ შესრულებასა და ორკესტრში დაკვრას შორის. თუ რა მკაცრ დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვდა თითოეულისაგან ეს უკანასკნელი. იგრძნეს და შეებნენ ამ სიძნელეს. ჯერ მორცხვად, გაუბედავად გადიოდნენ დღეები და თითქოს არაფერი გამოდიოდა, თითქოს ერთ ადგილზე იდგნენ, თითქოს იმიტომ მოვიდნენ აქ, რომ ერთმანეთის უცოდინარობა დაენახათ. რა მოხდა? ყოველი მათგანი გამოსულა საკლასო კონცერტებზე, გამოცდებიც ჩაუბარებიათ მკაცრი კომისიის წინაშე. აქ კი, ორკესტრში... მართლაც რომ საოცარია, თითქოს პირველად მოჰკიდეს ხელი ინსტრუმენტს...

რეპეტიციები კი გრძელდებოდა. ორკესტრი თანდათან ივსებოდა ახალმოსული წევრებით. მსურველი ბევრი იყო.

მოდიოდნენ დანიშნულ დროს. ყურადღებით უსმენდნენ დირიჟორს. ორჯერ, ხუთჯერ, ათჯერ იმეორებდნენ ერთ პატარა მუსიკალურ ფრაზას, სახლშიც მიჰქონდათ ნოტები, იქაც ვარჯიშობდნენ. და ბოლოს, ხანგრძლივი, დაძაბული მუშაობის შემდეგ, ნორჩი მუსიკოსები მიხვდნენ ერთ დიდ სიმართლეს: რასაკვირველია, ძნელია, ერთმა ადამიანმა შეისწავლოს კარგად დაკვრა. უფრო ძნელი ყოფილა 30 კაცმა დაუკრას ისე, როგორც — ერთმა. მიხვდნენ ამას და საქმეც წინ წავიდა.

ახლა ყოველ კვირა დღეს და ხუთშაბათობით იკრიბებიან ნორჩი მუსიკოსები პიონერთა სასახლეში. ისინი სხვადასხვა სკოლებში და სხვადასხვა მუსიკალურ ტექნიკუმებში სწავლობენ. ზოგს უკვე დამთავრებული აქვს მუსიკალური სასწავლებელი, მათ ადარც ევალებათ რეპეტიციებზე სიარული, მაგრამ იმდენათ დიდია ორკესტრის სიყვარული, იმდენად ეძნელებათ მუსიკის გარეშე ცხოვრება, რომ არცერთ მეცადინეობას არ აცდენენ, ენერგიულად მუშაობენ, აქ აგრძელებენ თავიანთ მუსიკალურ განათლებას.

ცაევცნოთ ხოგიერთ მათგანს:

აი, მე-7 რკინიგზის სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ვაჟა აზარაშვილი. იგი მეორე ვიოლინოზე უკრავს. საინტერესოა ის არის, რომ მას კომპოზიციის ნიჭიც აღმოაჩნდა. ვაჟამ ახლახან დასწერა კვარტეტი სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის. ამ ნაწარმოებს უკვე სწავლობენ მისი ამხანაგები. საჯარო კონცერტებზე, ბახის, ჩაიკოვსკისა და სიბელიუსის ქმნილებებთან ერთად, პიონერთა ორკესტრი ვ. აზარაშვილის კვარტეტსაც შეასრულებს.

აი, ანატოლ კრასოვსკი, იგი ორკესტრის პირველ ვიოლინოდ და კონცერტმეისტრად ითვლება, ძნელად შესასრულებელ ტაქტებს თვალსაჩინოებისათვის დირიჟორი მას აკვრევინებს ხოლმე.

აი, რაულ ათაბეგოვი. იგი არცერთ მუსიკალურ სასწავლებელში არ სწავლობს, მაგრამ დირიჟორისგან იშვიათად იღებს შენიშვნას, სწრაფად ითვისებს ახალ მუსიკალურ მასალას; დრო ისე აქვს განაწილებული, რომ სწავლაშიც არ ჩამორჩება თავის ამხანაგებს. რამაზი რკინიგზის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მოსწავლეა. ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას კი მე-4 მუსიკალურ ტექნიკუმში ეუფლება. რამაზს კარგად ახსოვს ის დღე, როდესაც პირველად მოვიდა პიონერთა სასახლის სიმფონიურ ორკესტრში. მაშინ დირიჟორმა საუბარი ჩაუტარა ნორჩ მუსიკოსებს და აუხსნა, რომ სიმფონიური ორკესტრი შესდგება ინსტრუმენტთა სამი ჯგუფისაგან. პირველ ჯგუფს წარმოადგენს სიმებიანი ინსტრუმენტები: ვიოლინო, ჩელო, ალტი და კონტრაბასი. მეორე ჯგუფი შედგება სასულე ინსტრუმენტებისაგან, — როგორიც არიან: კლარნეტი, ჰობოი ფლეიტა, პიკოლო, საყვირი, ტრომბონი, ვალტორნა და ფაგოტი. მესამე ჯგუფში კი შედის სხვადასხვა ფორმის ბარაბნები, ტიმპანები და სხვ. დირიჟორმა მაშინ ისიც თქვა, რომ პიონერთა სასახლის ორკესტრში ჯერჯერობით მხოლოდ სიმებიან ინსტრუმენტებზე იმეცადინებენ და მუსიკალურ ნაწარმოებებსაც ამის მიხედვით შეარჩევენ.

დღეს მორიგი რეპეტიციაა. ორკესტრის პედაგოგმა ანტონ წულუკიძემ საუბარი დაამთავრა ნორჩ მუსიკოსებთან. ორკესტრის მამასახლისი რიგრიგობით მოდის პულტებთან და ნოტებს აწყობს. ეს ჩაიკოვსკის სიმებიანი კვარტეტის მეორე ნაწილია. რეპეტიცია დაიწყო. მოსწავლეები. — პიონერები და კომკავშირელები — მონდომებით უკრავენ. ცდილობენ კარგად შეისწავლონ დიდი კომპოზიტორის ქმნილება. ხანგამოშვებით მოისმის დირიჟორის შენიშვნები:

— გასწორდი, ეგრე არ სხედან დიდ ორკესტრში!

— ნელა... ნელა დაუკარით; კრეშჩენდო სრულიად არ ნიშნავს ტემპის მომატებას.

— ეს ჩაიკოვსკია, ამხანაგებო. ინსტრუმენტები უნდა მღეროდნენ, თქვენ კი...

— აბა, ახლა მარტო ვიოლინოებმა დაუკრან... ახლა — მარტო შენ... ოო, აი, თურმე საიდან ისმის ყალბი ხმები, წაიღეთ ნოტები და სახლში ივარჯიშეთ. — ეუბნება დირიჟორი „დამნაშავეს". თუმცა მან თავიდანვე შენიშნა ეს „ყალბი ხმები", მაგრამ განგებ დაუწყო ძებნა და განგებ შეასრულებინა მარტო, რათა მოსწავლე თვალნათლივ დარწმუნებულიყო თავის სისუსტეში.

რეპეტიცია დასასრულს უახლოვდება. უკვე დაძლეულია ერთი ძნელად შესასრულებელი ადგილი, წინა რეპეტიციაზე რომ ცუდად გამოდიოდა. ორკესტრი ყველაზე მეტად ამტკიცებს კოლექტიურობის გრძნობას ნორჩ მუსიკოსთა. ერთი ინსტრუმენტიც რომ ჩამორჩეს, სხვებს გაუსწორებლად, ნწარად ვერ დაუკრას, ყველაფერი გაფუჭებულია. მაგრამ ხოგიერთ მოსწავლე არა თუ გულმოდგინედ მეცადინეობს რთული პარტიების ასათვისებლად, არამედ...

იღება კარები და სარეპეტიციო ოთახში შავტუხა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი შემოდის. ვიოლინოს ბუდე ერთ ხელში უჭირავს, ქუდი — მეორეში. ყველა მისკენ იხედება.

— შეიძლება, პატივცემულო მასწავლებელო? — ამბობს შავტუხა.

— რატომ დაიგვიანეთ?! — ეკითხება დირიჟორი.

— კინოში ვიყავი, ახალ ფილმზე, — და დაგვიანებულს რატომღაც ეღიმება. დირიჟორი კი ორახროვნად მიმართავს ორკესტრს:

— სხვას არავის უნდოდა კინოში წასვლა?

— გვინდოდა! — მოისმა ყოველი მხრიდან.

— ძერე რატომ არ წახვედით? წასულიყავით...

ნორჩი მუსიკოსები იღიმებიან. იმიტომ არ წავიდნენ, რომ საღამოს რეპეტიცია ჰქონდათ დანიშნული.

— დაბრძანდით, ეს უკანასკნელი იყოს! — ეუბნება დირიჟორი დაგვიანებულს, ორკესტრს გადახედავს, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერ ბავშვებს შეავლებს თვალს და გულში ფიქრობს: „ხომ შეიძლება, რომ შემთხვევით მეც დამაგვიანდეს რეპეტიციაზე? მაშინ რომელიმე ამათგანი აუცილებლად დადგება ჩემს ადგილზე, დირიჟორობას სცდის, როგორც მე ვცადე ერთხელ... ბავშვთა ორკესტრში".

ედიშერ ყიფიანი

ფოტო ოთარ თურქიასი

ᲜᲐᲮ. Ლ. ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავების წიგნი

ძველად, ძალიან ძველად ირანში მეფობდა ერთი შაჰი. მას ანუშირვანს უწოდებდნენ. თავის სასახლეში ანუშირვანს ჰყავდა ერთი ბრძენი ექიმი, ცოდნის ძიებაში გაეცალრავებული და ღრმად განსწავლული კაცი, სახელად ბარზუ ერქვა. ერთ დღეს ეს ბარზუ შაჰის წინაშე წარსდგა და ასე მოახსენა:

— ჰოი სახელოვანო და დიდებულო შაჰინ-შაჰო, ბრძენო და მეცნიერო, გონიერო და სამართლიანო! ამას წინათ მე წავიკითხე ერთი ძველი წიგნი. წიგნი იუწყება, რომ თურმე ინდოეთში იზრდება ერთგვარი ბალახი. იგი ქორფაა და ბიზანტიური აბრეშუმივით ხასხასა ფოთლები აქვს. წიგნი დაბეჯითებით ირწმუნება, თითქოს ეს ბალახი სასწაულთმოქმედი მცენარე იყოს. საკმარისია იგი წაუსვა მკვდარს და მკვდარიც მყისვე გაცოცხლდება. დიდებულო შაჰო, მე მინდა ამ წიგნის სიმართლე გამოვცადო და ამ სასწაულთმოქმედი ბალახის ძიებას შევუდგე. მართალია, ეს მეტად ძნელი საქმე გახლავთ, მაგრამ რა გაეწყობა, განსაცდელს არ უნდა შევუშინდე, ვინ ნაიდან, ვფიქრობ, ეს წიგნი მართალს ამბობს და მკვდრის გაცოცხლებაც ისევე მჯერა, როგორც ის მჯერა, რომ დიდებული ანუშირვანი ქვეყნის მეფე ბრძანდება.

შაჰმა გულდასმით მოუსმინა ბრძენ ექიმს და მერე უპასუხა:

— ექიმო, რასაც შენ ამბობ, მე არ მჯერა, არ შეიძლება იგი მართალი იყოს. მაგრამ უთქვამთ: ცდა ბედის მონახევრეაო. წადი, ჩემი წერილი წაიღე ინდოეთის მეფეს, მოინახულე ინდოეთი, ინდური კერპები მაინც ნახე და გაიცანი. მაგრამ ფრთხილად იყავი: თუ მართალია ის, რასაც შენ ამბობ, იგი ალბათ ამქვეყნიური სასწაული იქნება და მისი საიდუმლოებაც უნდა დაიცვა.

გახსნა ანუშირვანმა საგანძურის კარი. როგორც მის მეფურ გულუხვობას შეეფერებოდა—დინარი, დიბა, ხალი თუ აბრეშუმი, ბეჭედი თუ გვირგვინი, მუშკი თუ ამბარი—სამას აქლემისაგან შემდგარ ქარავანს აპკიდა და ინდოეთის მეფესთან გაატანა ბრძენთაბრძენ ექიმს.

ექიმი გაემგზავრა. ბევრი, ძალიან ბევრი იარა ქარავანმა, ბევრი მთა გადალახა და ბევრი უდაბნო გადაიარა. ბოლოს, როგორც იყო, მიატანა ექიმმა ინდოეთს, ინდოთა ხელმწიფის წინაშე წარსდგა, შაჰის წერილი გადასცა და მოტანილი ძღვენი დახსნა.

ბრძენთაბრძენი ექიმი სასახლეში ტკბილად მიიღეს. ინდოთა მეფემ თავისი ექიმები დაიბარა და უბრძანა, ეთათბირათ ბარზუსთან, საქმე გაერჩიათ და ფაღდისნური ბალახის მოძებნაში დახმარებოდნენ. მესამე დღეს ბარზუმ გაიყოლია ინდოელი ექიმები და უკვდავების ბალახის საძებნელად გაეშურა. დიდხანს იხეტიალეს სწავლულებმა, ფეხით დაიარეს მთელი ინდოეთი, მთაგოროვეს ყოველგვარი სახე ბალახისა, ყველა გამოსცადეს, მაგრამ ამაოდ: ფუჭად ჩაიარა ამდენმა ფაფუმ. ვერც ერთმა ბალახმა ვერ მოახდინა სასწაული, ვერ გააცოცხლა მკვდარი. არ ჩანდა აღთქმული ბალახი.

დაღონდა, მწარედ დაღონდა ბარზუ. შაჰის ქონების ასე ფუჭად განიავებამ და მისმა ასე ამაო ხეტიალმა გული შეუღონა ბრძენთაბრძენ ექიმს. ძვირად დაუჯდა მას ძველთაძველი წიგნის მინდობა. გულში სწყევლიდა ბარზუ ამ წიგნს, წყევლა-კრულვას უთვლიდა მის დამწერს. რა უნდა ექნა?

ინდოელ მეცნიერებს რჩევა ჰკითხა.

— ჰოი, კეთილო და სწავლულო ხალხო, ვინ არის თქვენში ყველაზე ბრძენი და მეცნიერი? ვინ დგას თქვენს შორის ყველაზე მაღლა? მე მინდა მან რაიმე მირჩიოს და გასაჭირიდან მიხსნას.

ექიმებმა მიუგეს: არისო ჩვენში ყველაზე ბრძენი და მეცნიერი, ყველაზე უფრო სწავლული და გამოცდილი, ყველაზე ხანდაზმული და საპატიო კაცი. წაიყვანეს ბარზუ ამ ბრძენთა-ბრძენ მოხუცთან. ის იყო ხნიერი კაცი. ყველაზე უფრო განსწავლული ექიმი და მეცნიერი მთელს ინდოეთში, გულში ჭეშმარიტების საგუბარი ჰქონდა და ბაგეთაგან მისი ნაკადული ხდიოდა. ბარზუ მას თავმდაბლური სალმით მიესალმა და თავისი გულის ვარამი შესჩივლა.

ბარზუ მას თავმდაბლური სალმით მიესალმა და თავისი გულის ვარამი შესჩივლა.

— უცხოელო,—წარმოთქვა მოხუცმა მას შემდეგ, რაც ბარზუს სათხოვარი მოიხმინა,—ჩვენც გაგვიგონია სასწაულთმოქმედი ბალახის ამბავი და ის ბალახი ჩვენც გვიძებნია, ამაოდ დავიღალეთ და არაფერი გამოგვივიდა. ასეთი ბალახის პოვნის იმედი ნუ გექნება, ასეთი მცენარე ჩვენში არ არსებობს. მაგრამ ჩვენში ბარობს მცენარე, რომელმაც ლაპარაკი იცის და უზარმაზარ სიბრძნეს ინახავს. ის მართლაც რომ უკვდავების „ბალახია", მაგრამ სასწაულებს თავისებურად ჩადის. კაცს უკვდავს იმით ხდის, რომ სიბრძნეს და ჭეშმარიტებას ასწავლის. მკვდარია კაცი, თუ მას ცოდნა არ აბადია. ის ყველგან დაიტანჯება და ვერაფერ ბედნიერებას ვერ მიაღწევს. ეს ცოდნითაა რომ ცოცხლობს ადამიანი, და ფასიც ასეთ სიცოცხლეს ადამიანი, ...

ხლეს აქვს. ასეთი სიცოცხლისათვის კი ბალახი, აბა, რა მაქნისია! უვიცობით ნაწამებსა და გზადაბნეულ კაცს ბალახმა, აბა, რა უნდა უშველოს! ადამიანს ხომ გზის ჩვენება სჭირდება, რათა ბოროტს აცდეს და კეთილს მისდიოს, ბედნიერი იყოს და ხიფათს თავი დააღწიოს! ინდოეთში მართლაც რომ გვაქვს ასეთი „უკვდავების ხე“! ეს „უკვდავების ხე“ წიგნია და მას „ქილილა და დამანა“ ეწოდება. იგი მეფის საგანძურშია შენახული. მიდი და თხოვე ჩვენს მეფეს ეს წიგნი!

ბრძენთაბრძენი მოხუცის ამ სიტყვებმა აამო ბარზუს. თავის კეთილისმყოფელს გულთბილი მადლობა დაუბარა და ინდოეთის მეფეს ეახლა. თაყვანი სცა მას და სათხოვარი გაუბედა. ინდოთა მეფეს არ ესიამოვნა ექიმის თხოვნა, მაგრამ რას იზამდა, ირანის შაჰის დიდი სათრი და მორიდება ჰქონდა, ვერ გააწბილა მისი მოციქული.



— ინებეთ, დიდებულო მეფევ!—თქვა ეს და მეფეს სიბრძნის წიგნი გაუწოდა.

...დიდხანს მიდიოდა ქარავანი ინდოეთიდან ირანამდე. შაჰმა მოგზაურ ექიმს დიდებულები გამოაგება და თითონაც ფეხზე ამდგარი შეხვდა.

— ექიმო!—მიმართა შაჰმა მის წინაშე მოკეცილ ექიმს.— შეასრულე თუ არა დაპირება, მოგაქვს თუ არა „უკვდავების ბალახი“?

— მომაქვს, დიდებულო შაჰინ-შაჰო!—მიუგო სწავლულმა და ოქროს ყუთი გახსნა.

— ინებეთ, დიდებულო მეფევ!—თქვა ეს და მეფეს სიბრძნის წიგნი გაუწოდა. გაოცდა ხელმწიფე. მცენარეს ელოდა და წიგნი ეჭირა ხელთ.

— ხუმრობა გყვარებიათ, ექიმო, ეს ხომ წიგნია და არა „უკვდავების ბალახი“?

მაშინ ექიმი წელში გაიმართა და მიუგო:

— დიახ, დიდებულო შაჰო, ეს წიგნია და არა მცენარე. „უკვდავების ბალახი“ არ არსებობს, მაგრამ არსებობს უკვდავების წიგნი.

ფიქრებს მიეცა შაჰი. ექიმი მართალი იყო.

პროზაული თარგმანი სპარსულიდან **მაგალი თოდუასი**

უ ნ დ ა გ ა ხ ა რ ო თ...

უნდა გახაროთ დრო საოცნებო!
ვრცელო ველებო,
ვრცელო ცაო, მთანო მაღალნო!
პიონერებო!—
კარგოსნებო, ფრიადოსნებო!
გაზაფხულია!—
უნდა გახაროთ!

მიმოიხედეთ,
მდინარენი ადიდებულან,
მწვანე ბალახი
სიხარულით ამოდის ველად...
გაზაფხულია!
დროა მართლაც რა დიდებული! —
გახარებულა ყველაფერი,
ზეიმობს ყველა.

მერცხლებმაც უკვე ცხრა მთა,
ცხრა ზღვა გადმოიფრინეს...
მთები, ველები ყვავილებით დახატულია...
გამოდით გარეთ,
გამომზეედით, გამოეფინეთ!
გაზაფხულია!

მუხრან მაჭავარიანი

რა ვიკითხოთ

შილერის ბალადები ქართულ ენაზე



„საბლიტგამმა“ მშვენიერი საჩუქარი უძღვნა ჩვენს ნორჩ მკითხველებს შილერის რჩეული ბალადების სახით. ბალადები პოეტ ხარიტონ ვარდოშვილის მიერ თარგმნილია მაღალი ოსტატობით და ინტერესით იკითხება.

წიგნში მოთავსებულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „თასი“, „ცეროერას ჩივილი“, „იბიკოსის წეროები“, „ხელთათმანი“ და სხვ. ჩვენი მკითხველები ამ ამბავთა საგრძნობ ნაწილს უკვე იცნობენ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, „ელინური მითებიდან“ და სხვ. მაგრამ ამის შემდეგ მათთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება შილერის ბალადების წაკითხვა. საქმე ისაა, რომ შილერი ზღაპრულ ამბავს, თუ მითს, თავისებურად ამუშავებდა, ხორცს ასხამდა და ახალ პოეტურ ძალას ანიჭებდა.

მაგალითად, ბალადა „ხელთათმანი“ მკითხველს აღავსებს უსაზღვრო სიძულვილით ფუქსავატი არისტოკრატი ქალისადმი, რომელიც არაადამიანურ გულქვაობას იჩენს, თავისი წუთიერი გართობისათვის საშინელ საფრთხეში—მძვინვარე ლომებისა და ვეფხვების კლანჭებში—აგდებს ადამიანის სიცოცხლეს. ბალადა „რაინდი ტოგენბურგი“ მკითხველის მეხსიერებაში ტოვებს წარუშლელ კვალს. მასში ნაჩვენებია, შუასაუკუნეთა ბნელეთის მოციქულებს დაღუპვამდე როგორ მიჰყავდათ სიცოცხლითა და სილამაზით სავსე ახალგაზრდები. „გველეშაპთან ბრძოლა“ ნამდვილად ჰიმნია მიძღვნილი ხალხისათვის თავგადებული მამაცი ადამიანისადმი. შილერმა ეს საუკეთესო ამბავი ბრწყინვალე მხატვრულ ნაწარმოებად აქცია. ასევე ადამიანის კეთილშობილური გრძნობის, სინდისის ნამდვილი დიდებაა ბალადა „მძევალი“.

თარგმნილი ბალადები კარგადაა შერჩეული. მართალია, ზოგი მათგანი ძნელი გასაგებია, მაგრამ ნორჩ მკითხველს ამაში დაეხმარება გ. ნადირაძის მიერ კარგად შედგენილი შენიშვნები. ყოველი ბალადა ნორჩ მკითხველს უნერგავს დადებით ადამიანურ თვისებებს: მჩაგვრელთა სიძულვილს, სიცოცხლისა და ბუნების მშვენიერების სიყვარულს, პატიოსნებას და პირდაპირობას.

„საბლიტგამის“ მიერ შილერის ბალადების გამოცემა მისასალმებელია. ამ საჩუქარს ნორჩი მკითხველი სიხარულისა და მადლობის გრძნობით მიიღებს.

აკ. ჭკადუა

ჩეხური ზღაპრები

ზღაპარი ჩვენი საყვარელი მეგობარია. იგი ამდიდრებს და საკვებს აძლევს ჩვენს ფანტაზიას, გვასწავლის ბოროტისა და კეთილის გარჩევას, სიკეთის უძლეველობას, სიმართლის სიყვარულს და გამარჯვებას.

ქართველი ბავშვები გატაცებით კითხულობენ საბჭოთა სამშობლოს ხალხთა მრავალ შესანიშნავ ზღაპარს. „საბლიტგამმა“ მათ ახალი საჩუქარი უძღვნა კ. ერბენის ზღაპრების პატარა წიგნის სახით.

კარელ იარომირ ერბენი ჩეხური მწერლობის ეთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნეში. გარდა შესანიშნავი სიმღერებისა და ბალადებისა, ერბენმა ჩეხურ ლიტერატურას შესძინა არა ერთი მაღალმხატვრული ზღაპარი.

ერბენის ზღაპრებით პატარა მეგობრები უთუოდ ნასიამოვნები დარჩებიან. აქ ისინი ნახავენ ახალ ქვეყანას, გაეცნობიან დღემდე უცნობ ზღაპრულ გმირებს.

აი, ერთი შესანიშნავი ზღაპარი—გრძელის, გონიერის და შორსმჭვრეტელის შესახებ. ერთს აქვს უნარი საოცრად გაგრძელდეს და სწრაფად იაროს. მეორეს უჩვეულო გაგანიერება შეუძლია, ხოლო მესამე ცხრა მთას იქითაც კი ამჩნევს პატარა, ძნელად შესამჩნევ საგნებს. სამივენი ესტუმრებიან მეფისწულს, რომელიც მათი დახმარებით მრავალ ადამიანს გაათავისუფლებს ჯადოქარის ტყვეობიდან.

ზღაპარი „თქმულება წყარო ლიტოშეზე“ გვიამბობს ერთი ფერიის შესახებ, რომელიც ჰოლეჩეკის ცოლი გახდება და ეხმარება ყმაწვილ გლეხს ცხოვრების უკეთესად მოწყობასა და კარგი მოსავლის მოყვანაში. მაგრამ ჰოლეჩეკი შეცდომას უშვებს; იგი წამოსძახებს მეუღლეს მისი წარსულის შესახებ. ნაწყენი ფერია სამუდამოდ გადაიკარგება. ჰოლეჩეკი ამაოდ დაეძებს მას. ამ ზღაპრის აზრი ისაა, რომ უნდა იცოდე კარგი მეგობრის ფასი, უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე მას. ტყუილუბრალოდ არ უნდა აწყენინო და არ უნდა შეურაცხყო.

ყოველ ზღაპარში, გარდა იმისა, რაც ერთი შეხედვით ჩანს, არის კიდევ სხვა, უფრო ღრმა და ცხოვრებაში გამოსადეგი. პატარა მკითხველებმა სწორედ ასე უნდა წაიკითხონ ზღაპარი. უნდა ვისწავლოთ ზღაპრის სიცრუეში სიმართლისა და სიბრძნის ამოკითხვა.

ნოდარ ჩხეიძე

მოკლედ ყველაფერზე



ზამთრის მეტოქეები

მოსკოვში, სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში მალე აშენდება საზაფხულო საციგურაო მოედანი — სიგრძით 60 და სიგანით 30 მეტრი. მოედნის ირგვლივ მოეწყობა ტრიბუნები 6 ათასამდე მაყურებლისათვის. ასეთი საზაფხულო საციგურაო მოედნების აგება შეიძლება ჩვენი ქვეყნის უფრო თბილ რაიონებშიც. ამის საშუალებას გვაძლევს ხელოვნური სიცივე.

ხელოვნური სიცივის შესაქმნელად მრავალი საშუალება არსებობს, რომელთა შორის ყველაზე საინტერესოა სიცივის მანქანა. ამ მანქანის მუშაობა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ როდესაც რაიმე სითხე ორთქლდება, იგი სითბოს კარგავს და ცივდება. ეს გაცივებული სითხე შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენთვის სასურველი ნივთიერების გასაცივებლად. ასეთ სითხეს ეწოდება მაცივარი აგენტი; მაცივარი აგენტი დაბალ ტემპერატურაზე უნდა ორთქლდებოდეს, რომ შესძლოს დიდი ყინვის შექმნა. ასეთი ნივთიერებებია: ამონიაკი, ფრეონი, ნახშირორჟანგი და სხვ.

მაცივარი მანქანები შეიძლება ავამოქმედოთ ენერგიის სხვადასხვა წყაროთი: მექანიკური ენერგიით, ელექტროენერგიით, ორთქლით და ცეცხლითაც კი. თქვენ, ალბათ, ყველას გინახავთ მაცივარი კარადები, რომლებიც ელექტროდენით მუშაობენ. არაელექტროფიცირებული რაიონებისათვის არსებობს ისეთი სამაცივრო კარადებიც, რომლებიც ნავთქერით მოქმედებენ. სამაცივრო კარადებს აქვთ ავტომატური თერმორეგულატორები, რომლებიც შეაკვეთილ, სასურველ ტემპერატურას ზუსტად იცავენ.



ყინული—საშენი მასალა

უკვე დიდი ხანია რაც ყინულს იყენებენ როგორც საშენ მასალას. ჩვენი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში საცხოვრებელ სახლებს ყინულის აგურებისაგან აგებენ. ასეთ სახლებში ცხოვრობენ, მაგალითად, ესკიმოსები და მათი მეზობელი ხალხები. ისინი ყინულის აგურებით პატარა გუმბათისებურ სახლებს აგებენ, რომლის შიგნით ცეცხლის დანთებაც შეიძლება და თბილად ცხოვრებაც.

საინტერესოა, რომ 1740 წლის ზამთარში, პეტერბურგში, იმპერატორ ანა ივანეს-ასულის გასართობად აგებულ იქნა ყინულის სასახლე, რომელშიც გაიმართა სასახლის მასხარის სახუმრო ქორწინება.

სასახლის სიგრძე უდრიდა 16 მეტრს, სიგანე — 6 მეტრს, სიმაღლე კი 5 მეტრს. სასახლის მთელი მოწყობილობა, აგეული და ქანდაკებები ყინულისაგან იყო გაკეთებული. ამ ყინულის სასახლეს აბანოც კი ჰქონდა, რომელიც რამდენჯერმე გაუთბიათ და უბანავნიათ შიგ. სასახლის ეზოში ყოფილა ყინულის ზარაზანები, რომლიდანაც უსროლიათ. ეს ყინულის სასახლე ბრწყინვალე ფურცელია რუსული ყინულ-ტექნიკის ისტორიაში.

ჩვენს დროში დიდი წარმატებით აშენებენ ყინულის საწყობებს, რომელნიც ათას ტონობით საკვებ პროდუქტებს იტევენ. ყინულის საწყობების აშენება შეიძლება იქაც კი, სადაც 3 — 4 თვის მანძილზე ცხელი ზაფხული იცის. ოღონდ, ამ შემთხვევაში ყინულის შენობა ზევიდან მშრალი ნახერხით, ტორფით, ან სხვა, სითბოს ნაკლებად გამტარი ნივთიერებით იფარება. კარგი მოვლის პირობებში ასეთი სახლები ძალიან დიდხანს ძლებენ.

თმის სიმაგრე

ყველამ არ იცის, თუ რა სიმაგრისაა ადამიანის თმა. ბევრს ჰგონია, რომ თმის სიმაგრის შედარება შეიძლება მხოლოდ ობობას ძაფთან. ამიტომ ძალზე არაბუნებრივად ეჩვენებათ, როცა ვკითხულობთ, რომ ქველად კართაგენში ქალის თმას სამხედრო საქმეში ხმარობდნენ სხვადასხვა ქვისსატყორცნი იარაღების დასამზადებლად.

ვნახოთ, შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს:

თმის ერთი ღერი 100 გრამამდე დატვირთვას უძლებს, ადამიანს კი თავზე 200 ათასამდე ასეთი თმა აქვს. ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ ქალის ნაწნავს, მაგალითად, 15—20 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია.

ასეთია თმების სქელი კონის გამძლეობა. ერთ ღერ თმას კი ბევრი მაინც ეჭვის თვალით უყურებს. ვინც ფიქრობს, რომ ერთი ღერი თმა არ არის საკმაოდ გამძლე, მან არ უნდა დაიგიწყოს, რომ თმის დიამეტრი 0,05 მილიმეტრია, განაკვეთისფართი კი 0,002 კვადრატული მილიმეტრი. ასეთი ზომის სპილენძის მავთული უძლებს მხოლოდ 80 გრამს, რკინის ძაფი კი 120 გრამს. ე. ი. ადამიანის თმა თავისი სიმკვრივით თანაბარი ზომის რკინის ძაფს ბევრად არ ჩამოუვარდება.

ჭადრაკი

დიდი რუსი მოჭადრაკე

რუსეთში საჭადრაკო ხელოვნების გავრცელების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო გენიალურმა რუსმა ოსტატმა ალექსანდრე დიმიტრის-ძე პეტროვმა (1794—1867 წ. წ.).

საინტერესოა, რომ პეტროვმა ჭადრაკის თამაში ოთხი წლის ასაკში ისწავლა. ჭადრაკი პეტროვს ბაბუამ შეასწავლა.

პატარა ალექსანდრესათვის დიდი ბედნიერება იყო ბაბუასთან თამაში. 12 წლის იყო იგი, როცა პირველად შეხვდა ბაბუას სერიოზულ პარტიაში. „შიშით გული მიცემდა, როცა საჭადრაკო მაგიდასთან დავჯექი“,—იგონებს პეტროვი.

პირველმა გენიალურმა რუსმა ოსტატმა პეტროვმა თავისი მაღალი შემოქმედებითი შრომით დიდი სახელი და მოჭადრაკეთა პატივისცემა მოიხვეჭა. მისი პარტიები და ანალიზები ხშირად იბეჭდებოდა მსოფლიოს საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებში. პეტროვს ახასიათებდა მდიდარი ფანტაზია, თამაშის სიღრმე და საჭადრაკო ხელოვნებისადმი მეცნიერული მიდგომა.



ამ მდგომარეობაში პეტროვმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა პოლონელ გოფმანს, მოულოდნელი კომბინაციით საუცხოოდ მიაღწია გამარჯვებას: 12. .... 0—0!! 13. ∂:c8 ∠f2+ 14. ♔h3 (თუ 14. ♕g4 ♘f4+ 15. ♔g5 h6+ 16. ♔h5 ♘h4+ 17. ♔g6 ♗e7×. შავები ოგებენ აგრეთვე 15. ♔h5 g6+ 16. ♔h6 ♘h4+ 17. ♔g5 h6+! 18. ♔g:g6 ♗e7+ შემდეგაც) d6+ 15. e6 ♗f4 16. ♔g4 ∂:e6 17. ∂:e6 (17. g3 შემდეგაც შავები ოგებენ ♗d4+ 18. ♗e6 ∠:e6+ 19. ♔h4 ♗f5+ 20. ♔h3 ♗e3+ და ა. შ.) ∠:e6+ 18. ♔g5 ♘f5+ 19. ♔g4 h5+ 20. ♔h3 ♘f3×.

თ. გიორგაძე
ოსტატობის კანდიდატი



შინაარსი

	გვ.
მაყვალა მრევლიშვილი—სანლი ულიანოვსკში (ლექსი)	1
გრიგოლ აბაშიძე — მეგობრობა (პოემა)	2
სერგო კლდიაშვილი — ზურია (მოთხრობა)	5
გიორგი კაჭახიძე — გაზრდილან, დამშვენებულან (ლექსი)	11
ემ. ფეიგინი — ტრამალელი ბიჭი (მოთხრობა, თარგმნა გიორგი ბატბერაშვილმა)	12
არნო ონელი — აპრილი (ლექსი)	15
შალვა ფორჩხიძე — სიმღერა (ლექსი)	15
მედეა კახიძე — ჩიტუნები.. (ლექსი)	15
ბ. ნუდლინა — ისინი ცხოვრობენ უკრაინაში (ფოტონარკვევი)	16
მამია ასათიანი — მეეტლე და შვილიშვილი (მოთხრობა)	18
იაპონური ხალხური ზღაპრები: 1. ბალახი მიოგა, 2. სამართლიანი ბრძენი; თარგმნა პ. ბებიამ	23
ერემია ქარელიშვილი—ჩვენი დროის გამოჩენილი მწერალი (წერილი)	24
ედიშერ ყიფიანი — პიონერთა სასახლის სიმფონიური ორკესტრი (ნარკვევი)	26
ფირდოუსი — უკიდავების წიგნი—(სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ)	28
მუხრან მაჭავარიანი — უნდა გახაროთ... (ლექსი)	29
აკ. ჭკადუა — შილერის ბალადები ქართულ ენაზე (წერილი)	30
ნოდარ ჩხეიძე — ჩეხური ზღაპრები (წერილი)	30
მოკლედ ყველაფერზე: ა) ზამთრის მეტოქენი, ბ) ყინული — საშენი მასალა, გ) თმის სიმაგრე	31
თ. გიორგაძე — დიდი რუსი მოჭადრაკე (წერილი)	32
გასართობი: კროსვორდი ბ. ქართველიშვილისა, პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 3-ში მოთავსებულ გასართობზე გარეკ.	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „სასკოლო ნაკვეთის გამშვენება“ — ნახატი რ. სტურუასი.

გარეკანის მეორე გვერდზე—ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—„უკრაინელი ნორჩი ნატურალისტი“—ფერადი ფოტო ი. ს. ტაბოროვსკისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ალ. ბანძელაძის, ლ. გუდიაშვილის, კ. მახარაძის, ვ. თოთიბაძის, შ. ცხადაძის, და ვ. ფოცხიშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, ვ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიეჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. ბატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Апрель, № 4, 1954.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

ფფ 02540 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 98 სტამბის შეკვ. № 390. ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

კროსვორდი



ჰორიზონტალურად

1. მდინარე სსრკ-ში, 4. მდინარე საფრანგეთში, 7 ელექტროდი, 8. ყაზბეგის მოთხრობის გმირი, 9. სპორტის სახე, 11. გარეული ცხოველი, 12. რუსი კომპოზიტორი, 14. კუნძული საბერძნეთში, 15. ქვეყანა ევროპაში, 16. ქართველი მწერალი, 19. ლითონი, 21. საზეინკლო იარაღი, 24. ყურძნის წვენისაგან დამზადებული ტკბილი, 26. არაშხამიანი გველი, 29. ქვეყანა აზიაში, 30. სადგური ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე, 31. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, 32. მეცნიერება მცენარეებზე, 35. ულრანი ტყეები ციმბირში, 37. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი, 38. ფრანგი კომპოზიტორი, 40. ბოროდინის ოპერის გმირი, 41. ცნობილი საბჭოთა მოკადრაკე, დიდოსტატი, 42. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში, 43. მდინარე რუსეთში, 44. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული.

ვერტიკალურად

2. გაზი, 3. ცხელი ქვეყნების ცხოველი, 4. მდინარე გერმანიაში, 5. კვამლი, ანუ?, 6. მუსიკალურ ბგერათა თანმიმდევრობითი რიგი, 7. ოთახის მოწყობილობა, 10. ლიტერატურული ნაწარმოების სახე, 12. სახელმწიფო აზიაში, 13. საქართველოს ძველი სახელწოდება, 17. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები, 18. სპორტული იარაღი, 19. მღრღნელი ცხოველი, 20. მტაცებელი ფრინველი, 21. წვიმისაგან თავდასაცავი ნივთი, 22. მოსწავლე მეზღვაური ძველ ფლოტში, 23. დემოკრატიული ქვეყნის დედაქალაქი, 27. პუშკინის ზღაპრის პერსონაჟი, 28. რძის პროდუქტი, 31. ნორვეგიელი კომპოზიტორი, 33. საშენი მასალა, 34. დიდი რუსი მწერალი, 35. ქალაქი საბჭოთა კავშირში, 36. ქართული ფანტასტიური რომანი, 38. დიდი რუსი პროლეტარული მწერალი, 39. გარეული ცხოველი.

შეადგინა ბ. ქართველიშვილმა

პასუხები

ჟურნალ „პიონერის“ მესამე ნომერში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი თავსატეხზე

სწავლა სიკვდილამდე შენია. მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.

პასუხი კროსვორდზე

ვერტიკალურად

1. პიკასო, 2. ივერია, 3. პარადი, 5. ისინდი, 8. მარსი, 10. დაისი, 11. ოტელო, 13. ასი, 14. სიო, 17. ეგეოსი, 19. ილიადა, 20. საირმე, 21. ალეერი.

ჰორიზონტალურად

4. კიევი, 6. აფრიკა, 7. რაპარა, 9. ოდა, 12. ვალიდა, 14. სპირტი, 15. სტილი, 16. ასკეტი, 18. ორიოლი, 20. სია, 22. აკორდი, 23. ყირაფი, 24. ამური.

პასუხი ლაბირინთზე

ნახაზზე გზა ლაბირინთის ცენტრისაკენ ნაჩვენებია მსუბუქი ხაზით.



14/43

ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა